საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 მაისი, 2014 წელი.

№89 (7470)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნიკა გვარამიას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ ის ნახვრეტები, ახლა რომ აღმოაჩინეს, ② თავიანთივე გახვრეტილია...

არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ასეთ კანონს

— ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, საერთოდ საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ არასდროს არავის არ ჩაგრავდნენ, საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველა ხედავდა, ყველა გრძნობდა თავისუფლად თავის თავს, მაგრამ არის საკითხები, რომლის დაშვება არ შეიძლება.

„როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო. უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი და მე რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და საოცარი. მე ვალდებული ვარ, უნდა მეთქვა. არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ამას, ასეთ კანონს და მინდა ვთქვა, რომ გავა დრო, როცა ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, თუ როგორ მივიღეთ ეს კანონი. მე შევთხოვე უფალს, შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენი, ნებსითი და უნებლიეთი. ღმერთი მოწყალეა და ღმერთი გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს“, — ბრძანა პატრიარქმა.

კანონი, რომელსაც ზოგიერთები გადაჰყვებიან

③

მოუსმინეთ ჯეფერსონს

ღია წერილი თბილისის მეროობის კანდიდატს, ბატონ დავით ნარმანიას ④

დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს! ⑥-⑦

საგაზაფხულო სიძვირე ④

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

გიორგი მარგველაშვილმა „თბილისის სამიტი 2014“ გახსნა

მარგველაშვილმა აზერბაიჯანელ და თურქ კოლეგებს სამიტში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. „მინდა, მივესალმო ჩემს კოლეგებს, ჩვენ მაღალ სტუმრებს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებს, მათ დელეგაციებს. ჩვენ, ფაქტობრივად, უკვე გვაქვს ძალიან ინტენსიური შეხვედრები და თანამშრომლობა. ჩემი პირველი ვიზიტი იყო თურქეთში და მინდა, ხაზი გავუსვა იმ სითბოს, რაც იყო ამ ვიზიტის დროს. ბატონ ილჰამს ერთი კვირის წინ შევხვდი პრაღაში და მანამდეც ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა ბაქოში. ჩვენი თანამშრომლობა არის მრავალწლიანი და შთამბეჭდავი თავისი შედეგებით, თავისი პოზიტივით. ჩვენი შეხვედრით კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმ მნიშვნელოვან წამოწყებებს, რაც დაწყებული გვაქვს რეგიონში. მე მინდა, საგანგებოდ მადლობა ვუთხრა თურქეთის პრეზიდენტს ამ ინიციატივისთვის, ასევე ილჰამ ალიევს, იმისთვის რომ შინაარსი და მნიშვნელობა ჩადო და გააძლიერა ამ სამიტის მნიშვნელობა“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი დარწმუნებულია, რომ „თბილისის სამიტ 2014“-ს ბრწყინვალე შედეგი ექნება.



მან მადლიერება გამოხატა ამ სამიტის ჩატარების ინიციატივისთვის.

„კავშირები, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აქვთ, არის დიდი ხნის კავშირები. უმაღლეს დონეზეა ორმხრივი ურთიერთობები. ჩვენ ბევრ ძალისხმევას ვდებთ იმისათვის, რომ ეს სამმხრივი ურთიერთობა არა მარტო ჩვენს ქვეყნებს, არამედ რეგიონს, მთელ მსოფლიოს ემსახუროს, რამეთუ ჩვენი თანამშრომლობა დაფუძნებულია ჩვენს ორმხრივ ინტერესებზე“, — განაცხადა ალიევმა.

მისი თქმით, ეს სამიტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა და საკითხები, რომელსაც სამიტის ფარგლებში განიხილავენ, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა.

— ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვიმყოფები საქართველოში ამ სამმხრივი სამიტის ფარგლებში. ეს არის მრავალმხრივი და ძალზე კონსტრუქციული თანამშრომლობის კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითი. 2007 წელს ჩვენ შევიკრიბეთ და დავიწყეთ ახალი ეტაპი ჩვენი თანამშრომლობისა და გავხსენით ახალი პროექტი. იქ იყვნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრების დროს ძალიან დეტალურად განვიხილავთ ყველა ამ პროექტს, ეს არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თუ თბილისი-ყარსის პროექტი — ეს მნიშვნელოვანია არამარტო რეგიონისათვის, არამედ მთლიანად, გლობალური მასშტაბით. ჩვენ ყველანი ვაცნობიერებთ მნიშვნელობას ამ გლობალური პროექტებისა და ეს სამი ქვეყანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტაბილურობა და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მე ვფიქრობ, რომ ამას შესაბამისად აფასებენ მთლიანად რეგიონში. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ კავკასიის მაღალი მთები ეს არის კედელი, რომელიც გვაშორებს, — არა, ჩვენ, ფაქტობრივად, მას ვაქცევთ დამაკავშირებელ გზად. ეს ემსახურება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ჩვენს მეზობლებს და აძლიერებს ჩვენს გულწრფელ მეგობრობას. პრეზიდენტების დონეზე ვხვდებით დღეს, რათა კიდევ ერთხელ გადავხედოთ მიმდინარე პროცესს და პროგრესს მთლიანობაში და მე დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი სამიტები იქნება რეგულარული მომავლისთვის“, განაცხადა აბდულა გიულიმ და ქართულ მხარეს სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადაუხადა.

* * *

ილჰამ ალიევი შემდეგი სამიტის აზერბაიჯანში ჩატარების ინიციატივით გამოვიდა.

„ჩვენ მივედით იმ აზრამდე, რომ ეს სამიტები იყოს რეგულარული ხასიათის და მოდით, თუ წინააღმდეგი არ ხართ შემდეგი შეხვედრა ჩატარდეს აზერბაიჯანში და მე ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი მაგალითი იქნება ჩვენი მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთპატივისცემის“, — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თბილისში, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე.

როგორც ალიევმა ქართველ და თურქ კოლეგებთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივ ბრიფინგზე აღნიშნა, მნიშვნელოვანია არა მარტო წარსულის მიღწევები, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია საუბარი მომავლის ტენდენციებზე, იმაზე, თუ რისი განხორციელება იგეგმება მომავალში, რისი მიღწევა სურთ და შეუძლიათ.

◎ ბოიკოტი — „რუსთავი-2“-ს

ნიკა გვარამიას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ ის ნახვრეტები, ახლა რომ აღმოაჩინეს, თავიანთივე გახვრეტილია...

საგანგებო განცხადებაო, აცხადეს და აცხადეს... და, როგორც იქნა, თავის ყურმოჭრილ ლაშქართან ერთად ეკრანზე გამოჩნდა „ცხრა მთავრობის გოთვერანი“ (რა ჩვენი ბრალია, ხალხი იხსენიებს ასე!) ნიკა გვარამია, ნაციონალების თითქმის ყველა თანამდებობაგამოვლილი მაჩვი (ზემოდან ყოველთვის ნაკლებად ჩანდა, მუდამ მიწის ქვეშ თხრიდა გვირაბს და ასე მოსდევდა თავის ამჯერად ქვეყნიდან გაქცეულ დამნაშავე ამირსპასალარს!).

ბოლოს, როგორც ვხედავთ, ქვეყნის ამომგდებ ენას (უფრო სწორად, ნესტარს!), ანუ ნაციონალთა მთავარ იარაღს — „რუსთავი-2“-ს მოაჯდა წვერზე და აგერ უკვე მეორე წელია, ასავსავებს და იგესლება სავსებით დემოკრატიულად და კანონიერად მოსული ხელისუფლების წინააღმდეგ (თუმცა, ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დამნაშავე ნაციონალების ბოლოდროინდელი დაუფარავი იერიშობანა თვითონ „მეოცნებეთა“ აშკარა „დემოკრატიული ჩოლფოტინობის“, ანუ ერთგვარი უსიცოცხლობისა და მოდუნების ბრალია!).

ეს გუშინდელი სკანდალური განცხადებაც — თითქოს ახალ ხელისუფლებას მეტი საქმე არა აქვს, გარდა იმისა, რომ „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობას უსმინოს, აშკარად უნიჭოდ შეთითხნილი შოუა, რომლის სიმართლედ აღქმა ნამდვილად გაუჭირდება სუყველა ჭკუათმყოფელს. ანდა რა მიყურადება და ჩუმი მოსმენა უნდა „რუსთავი-2“-ს, რომელიც არასოდეს არ ლაპარაკობს მართალს (ისე წამლად თუ გაურევს ხოლმე ხანდახან!) და არასოდეს არ მალავს თავის „ანტიოცნებურ“ სათქმელს და, დიდად სამწუხაროდ, ბევრ მალემრწმენს აჯერებს კიდეც, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ქვეყანამ გადაუხვია სწორი გზიდან და „უძირო უფსკრულისკენ“ მიექანება. რუსთავორელები იმასაც საჯაროდ ამბობენ (აქ უკვე ოხუნჯ ვანუას პირით!), რომ „რუსთავი-2“ მედია კი არა, კარგა გვარიანად „მსხვილი ფხაა“, რომელიც დღესაც ბევრს ადგას ყელზე და ხვალ თუ ზეგ კიდევ უფრო მეტს დაადგებაო!

ჩვეულებრივი ლოგიკის მიხედვით, ნამდვილად დიდი უაზრობაა ჩუმად უსმინო იმ კაცს, რომელიც სახალხოდ ხმამაღლა გაგინებს და რასაც შენზე ავს ფიქრობს, ყველაფერი ყოველწამიერად გარეთ გამოაქვს.

მაგრამ ვირეშმაკა გვარამიამ კიდევ ერთი ბოროტი ხერხი იხმარა თავისი გაიძვერობის ამოუწყავი არსენალიდან: აი, ხედავთ, „ოცნება“, ყველა სიკეთესთან ერთად; ადამიანის პირადი ცხოვრების, თვითონ ადამიანის უფლებების დაცვასაც გვპირდებოდა, მაგრამ მოგვატყუაო...მერედა, თუკი ამ საკითხში მოგვატყუა, ეგ რა, როგორ ფიქრობთ, განა რომელიმე თავის დანაპირებს შეასრულებსო? და იმისთვის, რომ თავისი ხვადი ტყუილი უფრო მეტად დამაჯერებელი გაეხადა, თავისი არცთუ სახელოვანი წარსული გაიხსენა, ამას ჩვენ, ნაციონალები, ვშვრებოდით, პირადად მეც ვიღებდი ამ უმსგავსობაში მონაწილეობას, რისთვისაც ჩვენს საზოგადოებას ბოდიშს ვუხდიო... ესე იგი, რაო? რაო და, „ოცნებაც“ ისევ ჩვენს გზას აგრძელებსო. ჩვენ დავგმეთ, უარვყავით ყოველივე ჩვენგან ქმნილი ცუდი, ესენი კი უფრო მეტი მონდომებით არღვევენ ადამიანის უფლებებსო... დიახ, დიახო, დაუდასტურა მარჯვნივ „მეპოზიციე“ შუბლაძემ. დღეს თუ ჩვენ გვისმენენ, ხვალ თქვენს გულში ჩაიხედავენო, კვერი დაუკრა შუმმა რუსთავორელმა უდუმაშვილმაც.

და, რაც მთავარია, „რუსთავი-2“-ს ინფორმაციის წყარო თურმე თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში ჰყავს... ხვალ კიდევ ერთი წყარო თავდაცვის სამინისტროშიც აღმოჩნდება, ზეგ თვითონ მთავრობაში (სოლი, სოლი, ბატონო, რისამე გაპობას ხელს უწყობს!)... ერთი სიტყვით, ისევ ყველგან თურმე ნაციონალები არიან, რომელთაც მთელი ათი წელიწადი წვითა და დაგვით (ხან სისხლითა და მახვილითაც!) აშენეს ახალი სახელმწიფო და არამც და არამც არ დაანგრევინებენ ვინმეს, მით უმეტეს, მატყუარა მეოცნებეებს თავიანთ ათი წლის ნაამაგარს.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლა როდემდე შეიძლება, რომ ყელზე ნამდვილად მომაკვდინებელ ფხად გვადგეს ეს აშკარად ანტისახელმწიფოებრივი არხი, რომელიც მთელი 24 საათი დემოკრატიის სახელით გველაპარაკება დამნაშავე უგულავების, ბოკერიების, წიკლაურების, გაბაშვილების, დარჩიაშვილების, წერეთლების, რატიანების, თაქთაქიშვილების, ნადირაშვილების, ჭიაბერაშვილების, ხაბაზების და სხვა ნაციონალურად მოწამლულთა ენა-პირით.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ნიკა გვარამია კიდევ არაერთ ნახვრეტს გააჩენს „რუსთავი-2“-ის ჭერზე და არა მარტო „რუსთავი-2“-ის. ამიტომ „ოცნებისა“ და მეოცნებეთა მხრიდან, დროული და საჭირო ხომ არ არის, რომ საყოველთაო ბოიკოტით კარგა გვარიანად ჩავჩურთოთ ეს საზოგადოებისთვის წინსვლაში ხელის შემშლელი და აშკარად სიბინძურის მნთხეველი არხი, რომელიც დღესაც სააკაშვილის დოქტრინით მუშაობს?!

ხოლო, თუ თვითონ სააკაშვილს ხალხის მიერ სამრეკლოდან ჩამოგდებულ და ანტიხალხურ საქმეთათვის მომწოდებელ ზარად წარმოვიდგენთ,ნიკა გვარამიას ყველაზე ზუსტი სახელი ამ სამრეკლოდან ჩამოგდებული ზარის ავად მრეკველი ენა იქნება.

მოგეხსენებათ, ყველა ზარს, დიდსაც და პატარასაც, თავისი ენა აქვს.

გურამ წიკლაური

შოკირებული ნიკა გვარამია

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 6 მაისის განცხადებასთან დაკავშირებით

თვალთვალი, მიყურადება, პირად ცხოვრებაში თუ სამსახურებრივ საქმიანობაში ჩარევა ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ქმედებებია. თუმცა, ასეთი რამ ხდება ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებშიც — დანაშაულის პრევენციის მიზნით და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. და კეთდება არა საიდუმლოდ, სპეცსამსახურების თვითნებობით, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

კარგია, რომ ნიკა გვარამიამ საჯაროდ აღიარა თავისი „ღვაწლი“ საქართველოში ტოტალური თვალთვალის სისტემის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. თუმცა, ეს მის დანაშაულს დიდად ვერ შეამსუბუქებს. სულაც არ არის გამორიცხული, რომ სათვალთვალო სისტემა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მოქმედებდეს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდიდან, ანუ დამონტაჟებული იყოს პირადად გენერალური პროკურორის მოადგილე ნიკა გვარამიას დავალებით. როგორც ცნობილია, ტოტალიტარული რეჟიმები, უპირველეს ყოვლისა, კომპრომატებს ხელისუფლების წარმომადგენლებზე, თავისიანებზე აგროვებენ, რათა მათ ნებისმიერი უკანონო დავალება უყოყმანოდ შეასრულონ.

თვალთვალი, რა თქმა უნდა, არის ზეწოლა მედიაზე, მაგრამ არის თუ არა მედია ტელეკომპანია „რუსთავი-2“, ძალიან პრობლემური საკითხია. ჩემი აზრით, ეს ტელეკომპანია (და კიდევ ბევრი სხვა!) არის არა მასობრივი ინფორმაციის საშუალება, არამედ მხარე, ნაცმოძრაობის მიერ სასტიკად კონტროლირებადი პროპაგანდისტული სისტემის ნაწილი. ნიკა გვარამია საკმაოდ ნიჭიერია იმისათვის, რომ ეს იცოდეს. მისთვის და მისი თანამშრომლებისთვის სათვალთვალო სისტემის აღმოჩენა შოკისმომგვრელი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო.

დიახ, თვალთვალი არ უნდა არსებობდეს, უნდა აიკრძალოს, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ ნიკა გვარამიას მოთხოვნას: „სასწრაფოდ დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც ჩვენს მედიას უთვალთვალებდნენ“. ეს ნიშნავს, რომ, გვარამიას, ზოგადად, მედია ფეხებზე ჰკიდია — „თავის“ მედიაზე ზრუნავს. ამიტომ მიმაჩნია, რომ „რუსთავი-2“ არის არა მასობრივი ინფორმაციის საშუალება, არამედ ერთ-ერთი პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

პატიოსანმა ნიკა გვარამიამ, ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა ისიც აღიარა, რომ მას სახელმწიფოს სპეცსამსახურებში ჰყავს საიდუმლო ინფორმატორი. ამ განცხადების შემდეგ, იგი ვალდებულია, ამ პიროვნების ვინაობაც გამხილოს, უფრო ზუსტად, გაუმხილოს პროკურატურას — სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო საიდუმლოების გათქმისათვის ისიც ხომ დასასჯელია? როგორ აპირებს ამ პიროვნების (პიროვნებების) დაფარვას, თუკი გამოძიება მართლაც დაიწყება?

თეიმურაზ ქორიძე

პედერასტები გვაწვებიან!

ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ვფიქრობ, ისეთი დაპირისპირების მიზეზი გახდება, ერთი მხრივ, ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, ერსა და ბერს შორის, როგორიც ჩვენს უახლეს ისტორიაში არ ყოფილა. არ ყოფილა იგი ნაცმოძრაობის ავადსახსენებელ 9-წლიან პერიოდშიც კი, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ყურად არ იღო საქართველოს პატრიარქის თხოვნა და სხვადასხვა, ე.წ. არატრადიციული რელიგიები მართლმადიდებლობასთან გაათანაბრა! „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაც უზნეო ბავშვივით გაჯიუტდა, მანაც არაფრად ჩააგდო პატრიარქის თხოვნა კანონის განხილვის გადავადების(!) თაობაზე, და თავისი გადაწყვეტილების სისწორეში მოსახლეობის დარწმუნება ყოვლად მიუღებელი, უაზრო „არგუმენტით“ სცადა – „ევროპა თუ გვინდა, ეს კანონი სასწრაფოდ მისაღებია, არმიღებით რუსეთში ჩავრჩებით“! ხელისუფლებას კარგად მოეხსენება, რომ **საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სრულებითაც არ გვინდა ისეთი ევროპა, რომელიც ჰომოსექსუალობას დაგვაძალებს.** მოეხსენება ისიც, რომ რუსეთში ჰომოსექსუალობის პროპაგანდა კარგა ხანია, აიკრძალა; თუ ამ კონკრეტულ საკითხშიც არ გვარგებს რუსეთის მიბაძვა?! და მაინც ევროპა გვინდა?! საერთოდ, რას ნიშნავს „ევროპა თუ გვინდა“, ამ კანონით ევროპას გვაძლევენ?! თუ, პირიქით, იძულებულს გვხდიან იქით მივეცეთ ევროპას!

ევროპაში უვიზო მიმოსვლისთვის ან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთვის ერის დამღუპველი კანონის მიღება ნორმალურ კაცს როგორ უნდა მოუვიდეს თავში! კანონის შინაარსსაც თავი რომ დავანებოთ, იმასაც ვერ გვიხსნიან, თუ რატომ იყო ეს დასაწვავი კანონი ასე სასწრაფოდ მისაღები, ამისთანა რა ცეცხლი უკიდიათ (თუ წაუკიდეს!), ანუ რა „პაჟარი“ აქვთ ქოცˆნაცებს ისეთი, რომ მისი განხილვის გადადების თხოვნაც არ შეუსრულეს პატრიარქს. პარლამენტის ყოვლად აუხსნელი აჩქარება ეჭვებს აჩენს – დიდი ხანია, ჩვენ პოლიტიკური ექსპერიმენტების პოლიგონი ვართ და, მოსალოდნელი არეულობაც ექსპერიმენტატორების ჩაფიქრებულს ხომ არ წააგავს?

ერთი შეხედვით, თითქოსდა, რა უნდა იყოს ამ კანონში ცუდი? იგი ხომ მხოლოდ დისკრიმინაციის, ანუ რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ და გენდერულ ნიადაგზე შევიწროება-დევნის აკრძალვას ნიშნავს. ასეთი ცხოვრების წესი, ჩვენი ბრძენი მეფეების წყალობით, ხომ ისედაც საუკუნეებია მოქმედებს საქართველოში – ტრადიციული, ტოლერანტული თანაცხოვრების ნორმები ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი ყველას და ამ თვალსაზრისით ფორასაც მივცემთ სხვა ერებს. მაშ, რამ აღაშფოთა ასე ძლიერ ერი და ბერი? რამ და, პედერასტების ნორმალურ ადამიანებთან გათანასწორუფლებიანობამ (უვიცთათვის განვმარტავ, რომ ჰომოსექსუალების პედერასტებად მოხსენიება სრულებითაც არ ნიშნავს სიძულვილის ენას; „პედერასტი“ გახლავთ მეცნიერებაში და ლიტერატურაში დამკვიდრებული უძველესი ტერმინი, რომელიც, განსხვავებით „ჰომოსექსუალისგან“, ზუსტად გადმოსცემს ამ მოვლენის არსს. **„პედერასტი“ ზუსტად იმდენად არის დამამცირებელი, რამდენადაც სამარცხვინოა თავად პედერასტობა მოცემულ სახელმწიფოში!** „უფლებადამცველებს“ სალაპარაკო რომ არ დავუტოვო, ამიტომ ჰომოსექსუალების ანალოგიურად ჰეტეროსექსუალებსაც, ზოგჯერ, არაპედერასტებად მოვიხსენიებ, ნორმალური უმრავლესობა არ გამინაწყენდება).

ჩვენი აღშფოთება არ უნდა დაემსგავსოს ჩვენი „მეგობრების“ შეშფოთებებს, მოსახლეობის პროტესტმა ფეხზე უნდა დააყენოს ყოველი არაპედერასტი ადამიანი. აქ ზნეობაზე ხელის აღებაში და სოდომ-გომორის ცოდვაში ფეხის ჩადგმაში არ არის მხოლოდ საქმე. ეს თავისთავად ასეა, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ „დემოკრატიულ“ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ უკანასკნელ 30-40 წელიწადში ჯერადობით იმატა პედერასტების რიცხვმა მსოფლიოში. ამერიკის დიდ ქალაქებში მათი რაოდენობა 5-დან 15 %-მდე(!) მერყეობს. სექსუალური ჯანმრთელობის და ქცევის შემსწავლელი ეროვნული ცენტრის 2010 წლის კვლევებით ამერიკაში ქალების 7% ლესბოსელია, კაცების 8 % კი – გეი (ჰომოსექსუალი, ანუ პედერასტი), საერთო ჯამში, 22-25 მილიონი ადამიანი! **კატასტროფის წინაშე დგას მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით, ჩვენისთანა პატარა ერები და, ნაცვლად იმისა, რომ დემოკრატიით თავმომწონე სახელმწიფოებმა განგაშის ზარებს შემოჰკრან, პირიქით, ყველანაირი ხერხებით აიძულებენ დანარჩენ მსოფლიოს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, ჰომოსექსუალების გათანაბრებას ჰეტეროსექსუალებთან!**

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი თანასწორი, თანასწორუფლებიანი უნდა იყოს, მაგრამ რას ნიშნავს „ყველა ადამიანი“? სულით ავადმყოფიც?! „გიჟი თავისუფალიაო“, ვამბობთ, თორემ მათ იგივე უფლებებს კი არ ვანიჭებთ, რასაც ნორმალურ ადამიანს, პირიქით, აუცილებლად გარკვეულ შეზღუდვებს ვუწესებთ. კაცობრიობის დასაბამიდან პედერასტობა ნორმიდან გადახრად, ფსიქიკურ დაავადებად ითვლებოდა და მეოცე საუკუნის ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ ყველანი (ყველა დროის მედიცინის კორიფეები, ფილოსოფოსები და სხვები) ცდებოდნენ, ჰომოსექსუალები სავსებით ნორმალური და საზოგადოებისთვის მისაღები, სასურველებიც კი არიანო. ახლა კი დაგვაძალეს(!), მოდით მათი ნორმალურობა კანონით გაგვეფორმებინა.

პედერასტების ნორმალურობის დასაბუთებისას მათი უფლებადამცველები ერთადერთ დოკუმენტს იშველიებენ – ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ 1973 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას დაავადებათა ნუსხიდან ჰომოსექსუალობის ამოღების თაობაზე. ბუნებრივია, ნებისმიერს დაებადება კითხვა, თუ რის საფუძველზე მოხდა ეს რევოლუციური ცვლილება, რა მეცნიერული აღმოჩენა გაკეთდა ამერიკაში 70-იან წლებში ისეთი, რომ საუკუნეების მანძილზე ფსიქიკურ დაავადებად ცნობილი, კრიმინალთან გათანაბრებული პედერასტობა უცებ ნორმად, უწყინარ სექსუალურ ორიენტაციად(!) მოინათლა და, შესაბამისად, სახელიც შეეცვალა – პედერასტობას ჰომოსექსუალობა ეწოდა. ერთობ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ „აღმოჩენამ“ მხოლოდ 19(!) წლის შემდეგ ჩააღწია ევროპაში. ადვილი მისახვედრია, რომ არავითარი აღმოჩენა არ მომხდარა. ამის თაობაზე ასოციაციის ყოფილი წევრი ჯეფრი სატინოვერი თავის ნაშრომში „ჰომოსექსუალობა და სიმართ-

კანონი, რომელსაც ზოგიერთები გადაჰყვებიან

ლის პოლიტიკა“ (1996) წერს, რომ **ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ხმის მიცემა ჰომოსექსუალობის „გასანორმალურებლად“, ნაკარნახევი იყო პოლიტიკით და არა – მეცნიერებით! არავითარი კლინიკური და მეცნიერული არგუმენტები ჰომოსექსუალობის შეფასებაში ცვლილების შესატანად არ არსებობდა, და რომ ასოციაციაზე განხორციელდა ზეწოლა რადიკალური აქტივისტი–ჰომოსექუალების მხრიდან** (ფსიქიატრთა ასოციაციაში შექმნილმა ჰომოსექსუალების ფრაქციამ 1970 წელს დაგეგმა ასოციაციის ყოველწლიური სხდომების ჩაშლა, ცნობილ ფსიქიატრს და ფსიქოანალიტიკოს ირვინგ ბიბერს ობსტრუქცია მოუწყვეს სხდომაზე და იგი რასისტს შეადარეს; ჰომოსექუალური მოძრაობის აქტივისტებმა „გეების განთავისუფლების ფრონტს“ მოწოდებით მიმართეს მოეწყოთ დემონსტრაცია 1971 წლის მაისში; დამუშავდა არეულობების ორგანიზების სტრატეგია; ეს ჰომოსექსუალი პროტესტანტები მართლაც შევარდნენ 3 მაისს სხდომაზე და ძალით იგდეს ხელთ მიკროფონი. არეულობების გაგრძელების მუქარის ქვეშ და, რაც ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი იყო, ხელისუფლების მხრიდან დაკავებული აშკარა პროპედერასტული პოზიციის გამო, ჰომოსექსუალიზმი ამოიღეს დაავადებათა ნუსხიდან. სწორედ ამ დროიდან იწყება ტერმინ „პედერასტის“ იძულებითი განდევნა და უნგრელი პედერასტის მიერ მე-19 საუკუნის ბოლოს მოგონილი ტერმინის – „ჰომოსექსუალის“ ნაძალადევი დამკვიდრება. არადა, ხმარებიდან ამოსაღებია არა ტერმინი „პედერასტია“, არამედ, ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“, რადგანაც ნორმაში მხოლოდ ერთი ორიენტაცია არსებობს – ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვა, ყველა სხვა ე.წ. ორიენტაცია არის ბიოლოგიური ნორმიდან გადახრა. ასეთ გადახრას კი სამედიცინო ენაზე სიმახინჯე ეწოდება!).

მე არ ვაპირებ ჰომოსექსუალობაზე, როგორც ფსიქიკურ დაავადებაზე (გნებავთ, როგორც დევიაციაზე) ან მის ზნეობრივ მხარეზე, როგორც სოდომ-გომორის ცოდვაზე საუბარს. ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ეს არგუმენტები არათუ თავად ჰომოსექსუალებზე არ ჭრის, მათ არ იზიარებენ ჰეტეროსექსუალებად წოდებული დეპუტატებიც (ფაქტია, ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთხმად(!) მიიღეს. ამიტომ, დროებით გვერდზე გადავდოთ ჰომოსექსუალობა, როგორც ავადმყოფობა და როგორც ცოდვა, დაე, ჰომოსექსუალებმა იფიქრონ, რომ არც არაფერი სჭირთ (ისედაც ცნობილია, რომ ადამიანები ფსიქიური აშლილობით იშვიათად თვლიან თავს ავადმყოფებად!) და, ზნეობრივადაც საზოგადოებისთვის მისაღებნი არიან, და ამ, მართლაც, 21-ე საუკუნის ჭირის (ზოგისთვის, ლხინის) მხოლოდ სამართლებრივ მხარეს შევეხოთ.

ზედმეტია იმის ახსნა, რომ თანასწორობა თანასწორუფლებიანობას ნიშნავს და სხვას – არაფერს. მაშასადამე, ჰომოსექსუალებს კანონით მიენიჭათ ზუსტად იგივე უფლებები, რაც ყველა დანარჩენს (სხვა შემთხვევაში კანონში ჩამოწერილი იქნებოდა ის შეზღუდვები, რაც გამონაკლისის სახით, მხოლოდ მათზე გავრცელდებოდა და, მაშინ, უკვე დისკრიმინაციასთან გვექნებოდა საქმე). ექნებათ თუ არა ასეთ ადამიანებს შეკრების, მიტინგის ან აღლუმის ჩატარების უფლება? რა თქმა უნდა, ექნებათ! იქნება თუ არა ეს ჰომოსექსუალობის პროპაგანდა? უდავოდ! დასჯადი იქნება თუ არა ჰომოსექსუალობის ცოდვად, გარყვნილებად და ზნეობრივ გადაგვარებად გამოცხადება? აუცილებლად იქნება! შეეძლებათ თუ არა ლესბოსელებს და პედერასტებს თავისნაირებზე დაქორწინება, ბავშვების შვილად აყვანა? როდესაც თანასწორუფლებიანები გახდებიან, ცხადია, ამასაც მოითხოვენ და მიაღწევენ კიდეც, კანონის ძალით! ვიცესპიკერის, ქ-ნ მანანა კობახიძის დაპირება, რომ ასეთ შემთხვევაში ის დეპუტატის მანდატს დატოვებს, ვერაფერი ნუგეშია, ვის რაში ანაღვლებს კობახიძის დეპუტატად ყოფნა-არყოფნა, ეს ხომ სასაცილოა!

ჰომოსექსუალებს და მათ დამცველებს უნდა განემარტოს უფლებები და თავიანთი ადგილიც მიეჩინოს, მაგრამ არა ანტიდისკრიმინაციული კანონით, არამედ, სისხლის სამართლის კანონით! თუ რას ვგულისხმობ, ამის გაგება სულ ადვილად ხერხდება ერთ მარტივ კითხვაზე პასუხის გაცემით, რომელსაც სავალდებულო რეჟიმში პასუხი უნდა გასცეს ჰომოსექსუალობის აბსოლუტურად ყველა დამცველმა და, უწინარესად, პარლამენტის წევრებმა პერსონალურად!

ეს კითხვაა: **თუკი ნებისმიერი(ლ) ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი (ანუ რასის, რწმენის, სქესის თუ რაღაც „ორიენტაციების“ მიუხედავად) თავისი ქმედებებით ან იდეების ტირაჟირება-პროპაგანდით საფრთხეს უქმნის ადამიანის მოდგმას და ხელს უწყობს მის გადაშენებას – დეპოპულაციას, ასეთ ადამიანებს ხელი უნდა შეეწყოს კანონის ძალით თუ, პირიქით, ყველა საშუალებით უნდა ვეცადოთ მათი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი საქმიანობის ბლოკირებას, საჭიროების შემთხვევაში კი – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას?**

მიუხედავად იმისა, რომ გლობალისტების მამამთავრების უპირველესი მიზანი მსოფლიოს მოსახლეობის დეპოპულაციაა (ომების, წამალ-ვაქცინების თუ ჰომოსექსუალობის გზით), არა მგონია, საქართველოს დეპუტატებიდან რომელიმემ გაბედოს და ღიად მხარი დაუჭიროს ისედაც გადაშენების გზაზე დამდგარი ქართველი ერის ფიზიკურ მოსპობას. ვერც ისეთ სისულელეს იტყვიან, რომ ჰომოსექსუალობა დეპოპულაციას კი არა, ერის გამრავლებას უწყობს ხელსო.

მოკლედ და გასაგებად, ანტიდისკრიმინაციული კანონით, რომელიც, ფაქტობრივად, პროპედერასტული და ანტიმართლმადიდებლური კანონია, პარლამენტი ხელს უწყობს ერის გადაგვარება-გადაშენებას! **ჰომოსექსუალობის მფარველობით საქართველოს პარლამენტი დანაშაულის ხელშემწყობი და თანამონაწილე გახდა, ამიტომ იგი კინწისკვრით გაყრას იმსახურებს,** მაგრამ თუ, როგორც გვჩვევია, ლმობიერებას გამოვიჩენთ, მაშინ სასწრაფოდ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ამ გზით მოვიცილოთ თავიდან სხვისი ავტორიტეტის წყალობით გადეპუტატებული ეს, მართლაც, ვაი-ქართველები!

იაკობ ლეჟავა.

P. S. მამათმავლობის (პედერასტია-ჰომოსექსუალობის) ყველაზე ზუსტ და ამომწურავ განმარტებას, თანაც, ორადორი სიტყვით გამოხატულს, ბიბლია იძლევა – „მამათმავლობა მუმაკვდინებელი ცოდვაა“. იგი სწორია გადატანითი მნიშვნელობითაც და პირდაპირი გაგებითაც. მამათმავლობა ცოდვაა, როგორც ერის ზნეობრივად გადამგვარებელი (მომაკვდინებელი) და იგი ცოდვაა, როგორც ერის ფიზიკურად გადამშენებელი (მომაკვდინებელი)!

ი. ლ.

P. P. S. დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი. ქართველი ბიჭების აფრიკაში საომრად გამგზავნი დეპუტატებისგან (106 ხმით ერთის წინააღმდეგ!) რამე უნდა გაგვიკვირდეს?! ეჭვი არ მეპარება, მალე, ირაკლი ალასანიას ინიციატივასაც – ნატოს საჰაერო თავდაცვითი სისტემის საქართველოში განლაგების თაობაზე, ასევე ერთხმად მოიწონებს პარლამენტი. ალასანიას აზრით, ამით ნატო, თურმე, „რუსეთს მიახვედრებს, რომ იგი არ ხუმრობს“! თავად თავდაცვის მინისტრი კი, თავისი დიპლომატიურ-აგენტურული ჭკუით იმასაც ვერ ხვდება, რომ სანამ ნატო რამეს განალაგებს ჩვენთან, მანამდე ისე „მიგვახვედრებს“ რუსეთი, რომ არასოდეს დაგვავიწყდება!

ი. ლ.

◎ სათქმელი

მოუსმინეთ ჯეფერსონს

ღია წერილი თბილისის მერობის კანდიდატს, ბატონ დავით ნარმანიას

რას შვრები, „თბილისის“ აღდგენას ახლაც არ აპირებ? – ამას ზოგი ნიშნისმოგებით მეკითხება, ზოგიც გულშემატკივრის პოზიციიდან. ორივე კატეგორიამ კარგად იცის, რომ აქამდეც ვაპირებდი და რომ ეს ჩემს მონდომებაზე კი არა, ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ არ შეიძლება, დედაქალაქს თავისი გაზეთი არ ჰქონდეს.

როცა უგულავამ და ბეგაშვილმა „თბილისის“ გამოცემა შეაჩერეს, ბატონმა რეზო ესაძემ დაწერა: „შეიძლება, თბილისში რუსთაველის პროსპექტი არ იყოს? ასევე არ შეიძლება, თბილისში „თბილისი“ არ გამოდიოდეს.“ კულტურის სხვა გამოჩენილმა მოღვაწეებმა იმჟამინდელ პრეზიდენტს ღია წერილითაც მიმართეს, მაგრამ მათაც ყური არავინ ათხოვა.

ეს უკვე არაერთხელ დავწერე. ამაოდ გავისარჯე. ამ ერთხელაც ვცდი, იქნებ მერობის ახალი კანდიდატის ყურადღება მაინც მივიქციო. აქამდე ვერავის შევასმინე ის, რასაც აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ ამბობდა: „ ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ – მთავრობა თუ პრესა – უყოყმანოდ ავირჩევდი მეორეს.“

ამაზე კი პირველად ვამახვილებ ყურადღებას: აი,რას წერდა სერგეი მესხი 1875 წელს გაზეთ „დროებაში“: „ამ სამი – ოთხი თვის წინათ ლონდონში იყო კრება ერთი საზოგადოებისა, რომლის მიზანი არის,მწერლებსა და განსაკუთრებით ჟურნალისტებს დაეხმაროს... განსაკუთრებით ერთი ორატორის სიტყვამ მიიქცია ყურადღება: ავსტრიის ელჩმა ინგლისში გრაფ ბეისტმა, სხვათა შორის, შემდეგი წინადადება წარმოსთქვა:„ტყუილად კი არ ამბობენ, რომ პერიოდული ლიტერატურა მეექვსე ნაწილი არის დედა – მიწისაო, ახლანდელს დროში გაზეთი ისეთი ძალაა, რომელსაც ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, დაეკითხოს... ერთი სიტყვით, ახლა „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ შეადგენს... რად უნდა გაგიკვირდეთ, რომ ის ნამდვილ „ძალას შეადგენს“, რომ თვით მმართველობა უნდა დაეკითხოს და ყური უგდოს მას.“

ბეგაშვილზე თავს ვერ დავდებ, უგულავაზე კი ნამვილად ვერ ვიტვით, რომ პრესის მნიშვნელობა არ ესმოდა, მაგრამ,როგორც ირკვევა, ეს პირდაპირ ნაპოლეონისგან უსწავლია. ისევ სერგეი მესხს მოვუსმინოთ: „ნაპოლეონ მესამე ყოველ წელიწადს რამდენსამე მილიონს ხარჯავდა მხოლოდ სულმდაბალი გაზეთების მოსასყიდლად, რომელთა მოვალეობა იყო, რომ იმის მმართველობა ექოთ.“

ხოლო თუ რამდენს ხარჯავდა უგულავა სულმდაბალი გაზეთებისა და ტელეარხების მოსასყიდლად, ეს სათანადო უწყებებმა გამოარკვიონ.

„თბილისის“ გამოცემა კი იმიტომ შეწყვიტეს, რომ გუნდრუკს არ ვუკმევდით – არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას და ვაცხადებდით:„ გაზეთი „თბილისი“ ემსახურება თბილისს და არა თბილისის მთავრობას (მარკესის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი). ბედნიერი ვიქნებით, თუ თბილისის მთავრობაც თბილისს მოემსახურება.“

თუ „თბილისს“ აღდგენა უწერია, კვლავაც ამ პრინციპს უერთგულებს.

იქნებ წამგებიანიც კი იყოს ამის წინასწარ განცხადება, მაგრამ სჯობს, მომავალმა მერმა ეს აქედანვე იცოდეს. თანამშრომლობა მაშინ უფრო გულწრფელი და შედეგიანი გამოგვივა. თუ მომავალ მერს გაზეთის მნიშვნელობა და აუცილებლობა გაცნობიერებული აქვს, ამგვარი გულახდილობა ნამდვილად ვერ დააფრთხობს, თუ არადა, მაშინ პირმოთნეობაც (ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს) ვერაფერს უშველის.

მიდექი, მოდექი, დაენახე ნარმანიას, თორემ მერე გეტყვიან, აქამდე სად იყავიო, – მირჩევენ კეთილისმსურველნი. მართალია, ჭარმაგი ჯერ არ მეთქმის, მაგრამ იმ ასაკშიც აღარ ვარ, ვინმეს კარებთან რომ ავეტუზო. გაზეთის რედაქტორს ეს მით უმეტეს არ ეკადრება – ვის რად უნდა ასეთი რედაქტორი და მისი გაზეთი?..

„თბილისის“ გამოცემა თუ განახლდება, ღირსეულად უნდა განახლდეს. თუ ეს ამ ხელისუფლების ხელში მოხდება, ხომ კარგი,თუ არადა, სჯობს, უკეთეს დროს დაელოდოს.

ბოლოს იმის შესახებ, თუ მაინცდამაინც თქვენ რატომ მოგმართავთ: გულახდილად ვიტყვი,რომ თქვენი რომელიმე კონკურენტის გამარჯვება, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, გამორიცხული მგონია. მათს უმეტესობას პატივს ვცემ, მაგრამ ვერაფრით ვანუგეშებ, ამას კი დავპირდები: თუ „თბილისის“ გამოცემა განახლდება, ის „ქართული ოცნების“ კი არა, დედაქალაქის გაზეთი იქნება. დაფინანსებასაც ვერავინ დააყვედრის, რადგან თბილისის ბიუჯეტი თბილისელებს ეკუთვნის და არა თბილისის მთავრობას, ან (მით უმეტეს) რომელსამე პარტიას.

თქვენ კი, ბატონო დავით, ამას დაგპირდებით: მას შემდეგ, რაც მერად აგირჩევენ, ღია წერილით აღარ მოგმართავთ...

პატივისცემით,
იოსებ ჟუმბურიძე,
(გამოცემაშეჩერებულ) გაზეთ „თბილისის“ მთ. რედაქტორი,
ჟურნალისტიკის დოქტორი, პროფესორი.

◎ ინფლაცია

საგაზაფხულო სიძვირე

იმ დრომდე, ვიდრე სურსათის ბაზარზე ახალი მოსავლის ბოსტნეული, ხილი, ბაღჩეული საკმარისი ოდენობით არ გაჩნდება, მათი ფასი სეზონური ზრდის ტენდენციას ემორჩილება ხოლმე.

სწორედ ასე იყო აპრილში, როცა ბაღჩეულსა და ბოსტნეულზე ფასებმა, საშუალოდ, 6,2 პროცენტით, ხოლო ხილის ქვეჯგუფზე (მათ შორის, ყურძენზე) ფასებმა 3,6 პროცენტით მოიმატა, ისე კი, მარტთან შედარებით, აპრილში ინფლაციის საშუალო დონემ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 0,3 პროცენტი შეადგინა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ბაღჩეულის, ბოსტნეულისა და ხილის ქვეჯგუფების საქონელზე ფასების მატებისა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით აპრილის ინფლაციის ინდექსზე გავლენა იქონია აგრეთვე სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების 0,7-პროცენტიანმა მატებამ, რამაც მთლიანი მაჩვენებლის 0,32 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს, წინა თვესთან შედარებით, ფასები შემცირდა რძის ნაწარმზე, ყველზე, კვერცხზე (საშუალოდ, 1,3 პროცენტით), თუმცა კი ამ მხრივ კომუნალური გადასახადების (საცხოვრისზე, ელექტროენერგიაზე, წყალსა და გაზზე) ზრდის სამწუხარო ტენდენცია კვლავ გრძელდება – აპრილში მან 0,4 პროცენტი შეადგინა. კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, ამ მაჩვენებლის ზრდა, უმეტესწილად, საცხოვრისის მიმდინარე მოვლა-შეკეთების ქვეჯგუფში მასალებსა და მომსახურებაზე ფასების 2,1-პროცენტიანმა ზრდამ განაპირობა.

ისე კი, **წლეულს აპრილში, შარშანდელ ანალოგიურ მაჩენებელთან შედარებით, ინფლაციის დონემ ქვეყანაში დაახლოებით 3,5 პროცენტს მიაღწია.** ამასთან დაკავშირებით, საქსტატის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მთავარი ზეგავლენა შემდეგ ჯგუფებში ფასების მატებამ იქონია:

1. სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები საშუალოდ 7,6 პროცენტით გაიზარდა, რამაც წლიური ინფლაციის ერთიან მაჩვენებელზე 2,29-პროცენტიანი ზეგავლენა მოახდინა. აღნიშნულ პერიოდში ფასების მატება ყველაზე მეტად საგრძნობი იყო ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (50 პროცენტზე მეტით!).

შარშანდელ აპრილთან შედარებით ფასები გაიზარდა ასევე რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (9,3 პროცენტით), შაქარზე, ჯემებსა და სხვა სახეობის ტკბილეულზე (5,1 პროცენტით), ასევე თევზის პროდუქციაზე (2,3 პროცენტით).

ასევე სამწუხაროა, რომ ფასები იზრდება მოსახლეობისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფა (4,3 პროცენტით). შესაბამისად, ამ ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის პროცესში 0,41 პროცენტი შეადგინა. კერძოდ, ფასები შემდეგ სეგმენტებში გაიზარდა: ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (7,1 პროცენტით), სამედიცინო პროდუქცია, აპარუტარა და მოწყობილობა (6,8 პროცენტით), აგრეთვე საავადმყოფოების მომსახურება (2,7 პროცენტით).

გარდა აღნიშნული სასაქონლო თუ მომსახურების კატეგორიებისა, აპრილში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ფასები გაიზარდა ასევე ალკოჰოლიან სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (6,8 პროცენტით), რაც ლაღი დროსტარების ხასიათზე ყოფნის საფუძველს მაინცდამაინც არ იძლევა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ლაურამ, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და ისე გადავლეჭავ გზას სტრასბურგამდეო.

● დღეს ისეთმა მომიკითხა, როგორ ხარ, პურმარილი დაგვიძველდაო, რომ მგონი რაღაც დიდ თანამდებობაზე მნიშნავენ.

● ზაფხული მოდის. „ოცნების“ მაისური მაქვს და „ოცნების“ შორტები არ დარიგდება?

● ქვების შეგროვება არ დავიწყოთ უკვე? აბა მე კენჭისყრაში არ ვაპირებ მონაწილეობის მიღებას.

● როდესაც ხელისუფლება პირადი ანგარიშსწორებისკენ გიბიძგებს და ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, ეს კრიმინალში მონაწილეობის ტოლფასია.

● დურაკული შეკითხვა: საარჩევნო ხუთ ნომრიან ბანერებზე უგულავას როჟა მელიას გვარით რომ არის წარეკლამებული, რატომ ხდება ასე? გათხოვდა და გვარი შეიცვალა?

● ეს ნავარო რითი ვერ მოვიცილეთ საქართველოდან? ქვეყნის ვენერიული დაავადება და ხუნაგია, თუ მისჯილი გვაქვს ამის ცქერა და მისი ბჟუტურის მოსმენა?

● კაცებმა ხელაფარებულებმა უნდა ვიაროთ აწი. ყველა მხრიდან არის საფრთხე მოსალოდნელი...

● კულა გლდანელი არ იყო მილიონერი (არც მილიარდელი), მაგრამ შეძლო და ვაჟა-ფშაველას სწავლა დაუფინანსა...

● პოლიტპატიმრები და რეპრესირებულები სად არიან რომ აღარ ჩანან? დაიწყეთ აქცია ნამორაძის დასაცავად და უბრალო ხალხიც შემოგიერთდებით.

მაშინ როდესაც 22000 ათასი განუხილველი განცხადებაა პროკურატურაში წამების და ათეულობით გარდაცვლილია წამების შედეგად, ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენები და სხვა, ნამორაძის დაპატიმრება უსამართლოდ მიმაჩნია.

● მალაშხიას საარჩევნო ბლოკი ჩამოუყალიბებია – ძრწოდეთ!

● ხიჩკოკის გაბოროტებული ვარიანტი: თავის დროზე როლანდ ახალაიას ცოლად ლაურა ღაჭავა რომ მოეყვანა!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

საქართველოში 3 553 673 პოტენციური ამომრჩეველია

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ამომრჩეველთა მონაცემების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

„2014 წლის 1 მაისს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ცესკოს პოტენციურ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემები გადასცა, რომელიც 3 553 673 პოტენციურ ამომრჩეველს ითვლის. ამ მონაცემებს შესაბამისი წესის თანახმად, ცესკო დაამუშავებს და ამომრჩეველთა სიას გამოაქვეყნებს. ინფორმაციისათვის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცესკოს პოტენციური საარჩევნო უფლების მქონე 3 591 650 პირის მონაცემები გადასცა, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის – 3 597 498 პირის. მიმდინარე წელს, 1 მაისამდე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ცესკოს საარჩევნო უფლების მქონე პოტენციურ პირთა შესახებ მონაცემები უკვე ორჯერ – 1 თებერვალს (3 586 796 პირის ინფორმაცია) და 28 მარტს (3 558 371 პირის ინფორმაცია) გადასცა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 1841-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. 2014 წლის 28 მარტს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული მონაცემების საფუძველზე, ცესკომ ამომრჩეველთა სია მარტში საკუთარ ვებგვერდზე განათავსა, სადაც სააგენტოს მიერ გადაცემული 3 558 371 პირის შესახებ მონაცემების ნაცვლად 3 491 105 ამომრჩეველი იქნა დაფიქსირებული, რაც ბუნებრივია. კერძოდ, საბოლოო სიაში არ შეივიდნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ რეგისტრაციის მისამართის მქონე პირები; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული ის პირები, რომლებსაც კანონმდებლობით შეზღუდული აქვთ ხმის უფლება; დევნილი პირები, რომელთაც დროებით საცხოვრებელ ადგილად არ აქვთ მითითებული კონკრეტული მისამართი (2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მისამართის მითითების გარეშე არსებულ ამომრჩევლებს შეზღუდული აქვთ ხმის უფლება); ასევე, ქმედუუნარო პირები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც არ აქვთ დევნილის სტატუსი.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 1841-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ვალდებულია, ცესკოს მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს არჩევნების დღემდე მე-11 დღისა, მიაწოდოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირთა მონაცემები გადაცემის დღისათვის არსებული მდგომარეობით.

ინტერპრესი

აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილი

პროფესორ გიორგი ძიძარიას დაბადების 100 წლისთავის გამო



გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სახელმწიფო და დიმიტრი გულიას სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ძიძარიას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

პროფ. გიორგი ძიძარია 50 წლის მანძილზე ერთგულად და თავდაუზოგავად ემსახურა მშობელ ხალხს. იგი იყო მრავალმხრივი დიაპაზონის მოღვაწე, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიაში. მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ერთ-ერთი საპატიო ადგილი აფხაზი ხალხის სახელოვან შვილთა შორის.

პროფ. გიორგი ძიძარიას სახელთანაა დაკავშირებული აფხაზეთმცოდნეობის სხვადასხვა მიმართულების, უპირველესად, აფხაზეთის ახალი ისტორიის შემდგომი განვითარება. მისი თაოსნობით გაიშალა ფართომასშტაბიანი კვლევები აფხაზეთის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. პროფესორ გიორგი ძიძარიას ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით პირველად გამოქვეყნდა განმაზოგადოებელი ნაშრომები აფხაზეთის ისტორიაში: „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“ ორ ნაწილად (სოხუმი, 1960, 1964), „აფხაზეთის ასსრ ისტორია (1917-1937)“, (სოხუმი, 1983).

პროფ. გიორგი ძიძარიამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორც აფხაზეთის ახალი ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა. მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა გააქარწყლეს ბევრი პრინციპულად მიუღებელი დებულება აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულზე, ხელი შეუწყვეს XIX - XX დასაწყისის საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის მთელი რიგი საკითხების გაშუქებას.

პროფ. გიორგი ძიძარია დიდ დროს უთმობდა აფხაზური სკოლის პრობლემებს. მან პირველკლასელებისათვის შეადგინა აფხაზური „ანბან“-დედაენის სახელმძღვანელო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფხაზი ბავშვების აღზრდის საქმეში. შალვა ინალიფასთან ერთად მოამზადა აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათია მე-7 კლასელთათვის, მასთან ერთად თარგმნა ს. შესტაკოვის მე-4 კლასის სახელმძღვანელო „სსრკ-ის მოკლე ისტორია“.

პროფ. გიორგი ძიძარია მჭიდროდ თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც წაიკითხა „XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის“ კურსი. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აფხაზეთის უმაღლეს სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებაში. ამ წვლილისათვის გიორგი ძიძარია ორჯერ დაჯილდოვდა თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — ივ. ჯავახიშვილის მედლით (1971, 1982).

პროფ. გიორგი ძიძარია იყო სახელმწიფო მოღვაწე. 1959-1962 წ.წ. მას ეკავა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. იყო საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ძიძარია დაიბადა 1914 წლის 23 აპრილს (6 მაისს) გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. სიყვარული მშობელი ხალხისა და მისი კულტურისადმი ოჯახში შეისისხლხორცა. მამით ადრე დაობლებულმა დაწყებითი განათლება გუდაუთის საბავშვო სახლ-ინტერნატში მიიღო. 1934 წელს დაამთავრა ნ. ლაკობას სახელობის სოხუმის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წ. სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მასწავლებლად, ხოლო აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში — უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1941-1945 წ.წ. ეწეოდა ანტიფაშისტურ პროპაგანდას; მონაწილეობდა აფხაზეთში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში; იყო სოხუმის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი. მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე სამთავრობო ჯილდოებით აღინიშნა.

1946 წ. გიორგი ძიძარიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1957-1966 წლებში უძღვებოდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. მისი რექტორობის წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, კვალიფიციური კადრების მომზადების, აფხაზეთმცოდნეობის განვითარებისათვის.

1958 წ. გიორგი ძიძარიამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობანი აფხაზეთში XIX საუკუნეში“. 1960 წ. მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. სამეცნიერო და პედაგოგიურ წარმატებებს თან მოჰყვა ახალი აღიარება — 1961 წელს მას საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად პროფ. გიორგი ძიძარია ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. 1953-1957 წწ. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხოლო 1966 წლიდან სიკვდილამდე — ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

გიორგი ძიძარია გარდაიცვალა 1988 წლის 1 მაისს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ლიხნში, რომელსაც სწავლულმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე (1986 წ.) მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა.

25 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პროფესორი გიორგი ძიძარია გარდაიცვალა. დროის ამ მონაკვეთში ბევრი ისტორიული მოვლენა მოხდა, მათ შორის, სსრკ-ის დაშლა და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის გაუქმება. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში რადიკალურად შეიცვალა ისტორიული პრობლემების კვლევის მიდგომები და შეფასებები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები განთავისუფლდნენ უმკაცრესი საბჭოური ცენზურის დიქტატისაგან, რომელმაც თავის დროზე არაერთი მეცნიერი შეიწირა. ბევრი მათგანი გატყდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს მეცნიერული და მოქალაქეობრივი პრინციპულობა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც არაერთხელ მოუწყვეს საჯარო გაკიცხვა, რის შემდეგაც გააძევეს მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან. ამგვარი პოლიტიკა გრძელდებოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წლებამდე. პარტიული ორგანოები მკაცრად აკრიტიკებდნენ მსოფლიოში სახელგანთქმულ სწავლულს, ლენინის პრემიის პირველ ლაურეატს ისტორიის დარგში, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს იმისათვის, რომ ის, თითქოსდა, საზოგადოებრივი ფორმაციების გაშუქებისას ავითარებდა ანტიმარქსისტულ და ანტილენინურ იდეებს. სკკპ უმაღლესი ხელმძღვანელების ყურადღება მიიპყრო პროფ. როინ მეტრეველმა, რომელსაც პარტიის მაღალი ტრიბუნიდან უკიჟინებდნენ საქართველოს ისტორიისა და საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვათა — თითქოსდა გაიდეალების გამო.

საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლას დიდი ზიანი მიაყენა ი. სტალინის, ა. ჟდანოვისა და ს. კიროვის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხზე, განსაკუთრებით დებულებამ „ნაკლები ბოროტების“ შესახებ. საზიანო იყო სადირექტივო ორგანოების მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის ძმობისა და მეგობრობის მანიფესტად გამოცხადება და ა.შ. სამაგალითოა მკვლევარ უშანგი სიდამონიძის ბედი, რომლის სადოქტორო დისერტაცია და მონოგრაფია „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წ.წ.)“, თბ., 1970) ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდის ნიმუშად გამოაცხადეს. ამ ნაშრომის გამოცემისა და ვიზირების გამო პარტიული სასჯელი დაეკისრათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, მის მოადგილეს, პარტბიუროს მდივანს, წიგნის რედაქტორს, გამომცემლობის დირექტორს და ა. შ. ამასთან, გაუქმდა დადგენილება უ. სიდამონიძისათვის სადოქტორო ხარისხის მინიჭების შესახებ.

პარტიულ წნეხს ვერც გიორგი ძიძარია გადაურჩა. 1947 წ. მან ბაგრატ შინკუბასა და კონსტანტინე შაყრილთან ერთად სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გააპროტესტა ადგილობრივი ხელისუფლების ნეგატიური ქმედებები, მიმართული აფხაზი ხალხისა და მისი კულტურის წინააღმდეგ. წერილის ავტორები სამაგალითოდ დაისაჯნენ, მაგრამ მათ, როგორც იტყვიან, ფარხმალი არ დაყარეს და არ შეიცვალეს პოზიცია. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო იძულებული გახდა გაეუქმებინა დადგენილება ზემოთ დასახელებულ პირთა დასჯის შესახებ.

გიორგი ძიძარიას უნდა დაეძლია სხვა დაბრკოლებებიც, მათ შორის, აფხაზი ეროვნების ზოგიერთი ხელმძღვანელის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი. საჭირო იყო ბურუსით მოცული აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე უტყუარი დოკუმენტური მასალების მოძიება და მათი კრიტიკულად გააზრება, ცალკეული პრობლემების მონოგრაფიული შესწავლა და მიღებული დასკვნების საფუძველზე აფხაზი ხალხის, აფხაზეთის როლისა და ადგილის განსაზღვრა მიმდინარე ისტორიულ პროცესში. სწორედ ამ რთულ და საშვილიშვილო საქმეს შეეჭიდა გიორგი ძიძარია, რომელიც რუდუნებით იკვლევდა თავისი ხალხის ისტორიულ წარსულს. დღეს ისტორიული მეცნიერება კარგად იცნობს მისი კვლევის შედეგებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1958 წ. გამოქვეყნდა გიორგი ძიძარიას კაპიტალური მონოგრაფია „სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობები აფხაზეთში XIX საუკუნეში (1870 წლის საგლეხო რეფორმამდე)“, რომელშიც წარმოჩენილია აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ხელოსნობის მდგომარეობის სურათი. პირველად სპეციალურ ლიტერატურაში ავტორმა მოგვცა აფხაზური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ყველაზე სრულყოფილი დახასიათება. გიორგი ძიძარიას აზრით, აფხაზეთში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობებს ბევრი საერთო ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ ფეოდალურ ინსტიტუტებთან.

1960 წ. პროფ. გიორგი ძიძარიამ გამოაქვეყნა ნაშრომი, მიძღვნილი აფხაზეთის რუსეთთან შეერთებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი ფორმალურად ეყრდნობა იმჟამინდელ ოფიციალურ იდეოლოგიას, ავტორმა თვალნათლივ უჩვენა აფხაზი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა აფხაზეთის მთავრების პრორუსული პოლიტიკის წინააღმდეგ. პროფ. გიორგი ძიძარიას შრომებში გაშუქებულია 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხები. რუსეთის მთავრობის ამ აქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზეთის საზოგადოებაში, რაც მკაფიოდ გამოვლინდა 1866 წლის აჯანყების დროს. მკვლევარმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ აჯანყებას, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა. ავტორის აზრით, აჯანყებას ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური ხასიათი ჰქონდა. წიგნიდან კარგად ჩანს, რომ აჯანყება სახალხო ომში გადაიზარდა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მმართველობის გაუქმებას და აფხაზეთის სამთავროს აღდგენას. აჯანყებულებმა აფხაზეთის მთავრად აირჩიეს უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე გიორგი შარვაშიძე, მომავალში ცნობილი მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. მართალია, აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ათეული წლების განმავლობაში აჯანყებულთა პოლიტიკური იდეა ასაზრდოებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აფხაზი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

პროფ. გიორგი ძიძარიას მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მონოგრაფიას „მუჰაჯირობა და აფხაზეთის XIX საუკუნის ისტორიის პრობლემები“ (სოხუმი, 1976, 1982). ეს არის ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც ნაჩვენებია XIX საუკუნის II ნახევარში კავკასიელ ხალხზე თავსდატეხილი ტრაგედია. ავტორი სწორად უჩვენებს რუსეთის ვერაგ ზრახვას, გაეწმინდა კავკასია იმ არასაიმედო, მშფოთვარე მოსახლეობისაგან, რომელიც არ ეპუებოდა თვითმპყრობელობის ჰეგემონობას კავკასიაში. როგორც ცნობილია, 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში აფხაზური მოსახლეობის ნაწილი აჯანყდა რუსეთის წინააღმდეგ და ოსმალეთს მიემხრო. ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთმა დაიწყო აფხაზების ფართომასშტაბიანი იძულებითი გასახლება სამშობლოდან, რის შედეგად აფხაზეთის ისტორიული ოლქების ნაწილი მთლიანად გაუკაცრიელდა. ცარიზმმა ესეც არ აკმარა აფხაზეთის მოსახლეობას. სამშობლოში დარჩენილი აფხაზები დამნაშავე მოსახლეობად გამოაცხადა, რომელთაც შეუზღუდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები. პროფ. გიორგი ძიძარიამ უჩვენა რუსეთის ადმინისტრაციის უმძიმესი დანაშაული აფხაზი ხალხის წინაშე, რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით ეთნიკური წმენდა ჰქვია. წიგნს დიდი რეზონანსი ჰქონდა. 1979 წ. პროფ. გიორგი ძიძარიას ამ გამოკვლევისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1979 წ. პროფ. გიორგი ძიძარიამ პირველად ისტორიოგრაფიაში მოამზადა აფხაზური ინტელიგენციის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომი. ავტორმა ნათლად წარმოაჩინა ის რთული გზა, რომელიც განვლეს აფხაზური ინტელიგენციის პირველმა წარმომადგენლებმა; ნაჩვენებია რუსი და ქართველი მოღვაწეების წვლილი აფხაზური დამწერლობის, მეცნიერების, განათლებისა და სხვა დარგების განვითარების საქმეში. ეს მონოგრაფია არის ძეგლი იმ ადამიანების ხსოვნისა, რომლებიც ქმნიდნენ და ანვითარებდნენ აფხაზი ხალხის სულიერებას. 1980 წ. აღნიშნული გამოკვლევისათვის პროფ. გიორგი ძიძარიას დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

პროფ. გიორგი ძიძარია აშუქებდა ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურული ურთიერთობებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლის საკითხებს და ა. შ. გიორგი ძიძარიას დაკვირვებანი აფხაზეთში მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების შესახებ აისახა მის წიგნში „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 1963).

პროფ. გიორგი ძიძარიას მეცნიერული მემკვიდრეობის ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა მან ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. მისი ამაგი სათანადოდ დაფასდა: 1974 წ. პროფ. გიორგი ძიძარია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიეძღვნა არა ერთი სამეცნიერო წერილი, ზეიმით აღინიშნებოდა მისი საიუბილეო თარიღები, მიღებული ჰქონდა მაღალი სამთავრობო ჯილდოები.

პროფ. გიორგი ძიძარიას გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში ბევრი რამ გაკეთდა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად: 1988 -2006 წ.წ. გამოქვეყნდა გიორგი ძიძარიას შრომების სამტომეული, პროფ. არველოდ კუპრავამ გამოსცა წიგნი „გიორგი ალექსის ძე ძიძარია“ (სოხუმი, 2006), აფხაზეთის უნივერსიტეტში დაწესდა გიორგი ძიძარიას სახელობის სტიპენდია (1989 წ.); სწავლულის სახელი ეწოდა ქუჩებს სოხუმსა (1994) და გალში (2004). 1995 წელს დაისტამბა საფოსტო მარკა „აფსნი 200 გ. ა. ძიძარია 1914-1988 წწ.“. დაწესდა გიორგი ძიძარიას სახელობის სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში (2004), გიორგი ძიძარიას სახელი მიენიჭა აფხაზეთის საისტორიო საზოგადოებას.

აფხაზთა ცნობიერებაში პროფესორ გიორგი ძიძარიას სახელი სამშობლოს ერთგული მსახურების სიმბოლოდ იქცა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!

კარგა ხანია, ძართულ არქიტექტურაში სრული ძაოსია. ათ წელიწადზე მეტია, საქართველოს დედაქალაქის ბუნებრივ მშვენიერებას არქიტექტურის და ქალაქგეგმარების პროფესიონალი სპეციალისტების ჯიბრზე, ყოფილი პრეზიდენტი და მერიის მაღალჩინოსნები ამახინჯებენ. დღეს განაშენიანების გენერალური გეგმის გარეშე დარჩენილ თბილისს მთავარი არქიტექტორი არა ჰყავს – სამსახურს მენეჯერი მართავს, რომელიც ამტკიცებს და ჰყიდის ყოველგვარ პროექტს, სარფიან ადგილებს, სართულიანობას, მზეს, ჰაერს, ბაღებსა და სკვერებს, სინდისსა და ნამუსს... თბილისის ცენტრალური უბნები იძცა გარემოსთან აბსოლუტურად შეუთავსებელი არქიტექტურული „ურჩხულების“ ნიმუშად. მიჯრით მოწყობილი მრავალსართლიანი სახლები და ტროტუარებზე, ვიწრო ძუჩებში უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ავტომანქანები ჩვენი მოსახლეობისთვის აუტანელი გახდა...

ახალმა ხელისუფლებამ, განსაკუთრებით თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, არქიტექტურა არქიტექტორებს უნდა დაუბრუნოს, თუმცაღა, „ძართულ ოცნებას“ ეს ამდენხანსაც უნდა გაეკეთებინა.

სწორედ ამ პრობლემებს ეძღვნება ჩვენი დიალოგი სახელოვან არქიტექტორთან ვახტანგ ღავითაიასთან.



– ბატონო ვახტანგ, არქიტექტურულ წრეებში არ ცხრება ვნებათაღელვა ლაზიკასთან, რიყესთან, მზიურთან, „იმელის“ რეკონსტრუქციასთან, ვაკის პარკთან, ასათიანის ქუჩასთან, საყდრისთან დაკავშირებით. ახლახან თანაინვესტირების ფონდმა ახალი თავსატეხი – მეგაპროექტი „პანორამა თბილისი“ შემოგვთავაზა... სასტუმრო „ჰოლიდეიინში“ („აჭარა“) ამ პროექტის (იდეის) საზოგადოებრივ განხილვაში თქვენც მონაწილეობდით, მოგვიანებით მოვისმინე თქვენი კომენტარი ტელევიზიით, მოდით, დიალოგი აქედან დავიწყოთ:

– დიახ, ვესწრებოდი ამ შეკრებას. მას ვერ დავარქმევთ ვერც საზოგადოებრივ განხილვას, ვერც პრეზენტაციას. ის უფრო განზრახვის ვერბალური წარდგენა იყო. „განხილვა“ ითხოვს მრავალმხრივ დარგობრივ ექსპერტიზას, ამ ექსპერტიზის შესწავლას, გრაფიკულ და ვიზუალურ მასალას და სხვ. ეს საკმაოდ რთული პროცესია.

– ვარდების ხელისუფლების ცხრაწლიან ხანაში და მის შემდეგაც ამდაგვარი საზოგადოებრივი შეკრება არ ყოფილა. როგორც წესი, მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-ურბანული პრობლემები დახურულ რეჟიმში წყდებოდა, საზოგადოებას ფაქტის წინაშე აყენებდნენ, რით ხსნით ჯერ კიდევ ნაციონალური მერიის მოულოდნელ გადემოკრატიულებას?

– მერია „პანორამა თბილისზე“ ქალაქგეგმარებით პირობებს ვერ გასცემდა, ვინაიდან „განზრახვა“ ეწინააღმდეგება ისტორიულ ნაწილში მშენებლობის წესებს, არღვევს ბუნებრივ ლანდშაფტს, რაც უსათუოდ გამოიწვევდა საზოგადოების პროტესტს, ქალაქგეგმარებითი პირობების გაცემა პირველი ნაბიჯია, გზის დალოცვაა რეალიზაციისკენ. მერიამ გააკეთა ზუსტი სვლა – მოუხმო საზოგადოებას, ეს ტაქტიკური ნაბიჯი იყო. არავითარი გადემოკრატიულება და არც საზოგადოების პატივისცემა...

– კი მაგრამ, მერიის მიერ გაცემული არ იყო „დავალება პროექტირებაზე“, ყველა იმ ობიექტზე, რომლებიც დღემდე საზოგადოების მძაფრ პროტესტს იწვევენ.

– გეთანხმებით. ყველაფერზე, რაც მოხდა რიყეზე, მზიურში, პირველი გიმნაზიის უკან საცხოვრებელი კოლოსის ჩადგმა, სპორტის სასახლის არეალის პირწმინდად ამოყორვა, სკვერების ამოშენება და სხვა მრავალი, მერიის მიერაა ნებადართული. მერიის გარეშე თბილისში აგურს აგურზე ვერ დადებთ, ფანჯარას ვერ გაჭრი კუკიაზე ეზოს მხარეს. ახლახან გამოქვეყნდა ცნობა, რომ მერიამ „პანორამა თბილისზე“ ქალაქგეგმარებითი პირობების გაცემაზე უარი განაცხადა. რა თქმა უნდა, პირობების გაცემა კანონის დარღვევა იქნებოდა, მაგრამ მერიას უკანონობა ბევრჯერ დაუკანონებია. მარტო ის რად ღირს, რომ მერიის „წესით“ კანონის აშკარა დარღვევის ყიდვა ოფიციალურად შეიძლება, გადაიხდი ფულს და დარღვევა ლეგიტიმურია, გარდა ამისა, დღეს თანამდებობაზე აღარ არიან მძლეთამძლე, კანონზე მაღლა მდგომი ქვეყნის პრეზიდენტი და ქალაქის მერი.

– ვინ არის ამ მეგაპროექტის იდეის ავტორი, დამკვეთი, კონკრეტულად რას წარმოადგენს პროექტი?

– არ ვიცი, ვინ არის პროექტის იდეის ავტორი. დამკვეთი, ალბათ, თანაინვესტირების ფონდია. ის, რაც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ, „პროექტისგან“ შორსაა. მე შემიძლია, შეგახსენოთ ის, რაც მომხსენებელმა, თანაინვესტირების ფონდის წარმომადგენელმა ბრძანა. მეგაპროექტით შეიქმნება ოთხი, ერთმანეთთან საბაგირო გზებით და დახრილი ლიფტებით დაკავშირებული „კომპლექსი“. ეს კომპლექსებია: თავისუფლების მოედანი, ერეკლე II მოედანი, სოლოლაკის მაღლობი, ანუ ძველი კომკავშირის ხეივანი და მის ზემოთ გორაკი (მთა), რომელსაც დაერქვა „სოლოლაკის ბაღები“. ყველა ეს „კომპლექსი“ ისტორიულ ნაწილშია, სადაც პროექტირება და მშენებლობა ექვემდებარება მკაცრ რეგლამენტირებას. მე ჩამოვთვლი ერთ-ერთი „კომპლექსის“ ფარგლებში ერეკლე II მოედანზე რა უნდა გაკეთდეს: დარბაზები, საოფისე ფართები, ავტოსადგომი 500 მანქანაზე, ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო 250 ნომრით. ცნობისთვის: სასტუმრო „რადისონ ბლუში“ („ივერია“) არის 249 ოთახი... ასეთი მოცულობა, თუნდაც არა მაღლივი, ერეკლეს მოედანზე?! ეს ხომ მთლიანად დაანგრევს არა მხოლოდ ამ კვანძს, არამედ ისტორიული ნაწილის ურბანულ სისტემას, მასშტაბს. რიყე, სპორტის სასახლის მიმდებარე არეალი, მონაგონი იქნება იმასთან შედარებით, რასაც „პანორამა თბილისი“ გვპირდება. თითქოს საქმე გვაქვს არა ისტორიულ გარემოსთან, არამედ ტრამალთან. არანაკლებ მასშტაბურია სიახლეები თავისუფლების მოედანზე. თურმე, „25 ათას კვ.მეტრზე განთავსდება საქალაქო ინფრასტრუქტურა: სასტუმრო, დასასვენებელი და სარეკრეაციო ზონები, საკონფერენციო დარბაზები, სავაჭრო ფართები, მიწისქვეშა ავტოსადგომები...

– თავისუფლების მოედანზე, ამჟამად, ჯიხურის ჩასადგმელი ადგილი არ არის, სად უნდა გაშენდეს ჩამოთვლილი ობიექტები?

– ამ ორ „კომპლექსს“ გრაფიკული და ვიდეომასალა არ ახლდა, რაც მოვისმინეთ და ვნახეთ ფანტასტიკის სფერო უფროა, ვიდრე რეალობა. გამოდის, რომ თავისუფლების მოედანი პირწმინდად უნდა დაინგრეს და აშენდეს ახალი მოცულობები. რატომ? აბსოლუტურად არაპროფესიული და ალოგიკური შემოთავაზებაა. სწორედ ამან განაპირობა გამომსვლელთა ასპროცენტიანი უარყოფითი შეფასება, აღშფოთებაც კი... ნურავინ ნუ შეეცდება პრობლემის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას, თითქოს ვიღაცას ვიღაცასთან შეუთავსებლობა აქვს, ეს აბსურდია. არქიტექტორებს, ურბანისტებს, საერთოდ მოქალაქეებს, პოლიტიკური წიაღსვლები ნაკლებად აინტერესებთ, მათ აინტერესებთ საკუთარი ქალაქის ხვალინდელი დღე. პირადად მე, ასეთი ალოგიკური, არაპროფესიული მაგალითი ჩემს სამოცწლიან არქიტექტურულ პრაქტიკაში არ მახსენდება. კიდევ ერთი „იდეა“. ეს ოთხი „კომპლექსი“ ერთმანეთთან საბაგირო გზებით დაუკავშირდებიან... ქალაქის დათვალიერება ტურისტებისთვის თითქოს განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება ჰაერიდან! რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვიზიტორების უმთავრესი ინტერესი ისტორიული ქალაქების ქუჩები, ეროვნული სამზარეულო, კაფე-ბარები, სუვენირები, ყოფითი კოლიზიებია. აქ, მიწაზე უნდა დატოვოს ფული ტურისტმა და არა ჰაერში. ყველაფერთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ თბილისის რელიეფის უნიკალურობა, ის გარშემორტყმულია ბუნებრივი იარუსებით, სამზერი მოედნებით – ფუნიკულიორი,ნარიყალა, სოლოლაკის ხეივანი, მეტეხის პლატო, ბარათაშვილის ქუჩა და პლატო, ხედები ქეთევან წამებულის ქუჩიდან და სხვ. შთამბეჭდავია ეს ხედები ღამითაც. თავი რომ დავანებოთ ქალაქის ესთეტიკას, ატმოსფეროს, რასაც საბაგირო ები მოუტანს თბილისს, რატომ არ ვუწევთ ანგარიშს მოსახლეობას, ვის თავზედაც ეს ვაგონები მოძრაობენ? ეს ხომ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დისკომფორტია!.. ერთი წელი ვიცხოვრე ეზოში, რომლის თავზეც ფუნიკულიორის საბაგირო გზა გადადიოდა, მეტი ვერ გავუძელი და დავტოვე იქაურობა. რას უზამს ეს ოთხი ახალი საბაგირო გზა თბილისს, მის მკვიდრთა განწყობილებას, თანაც ერთი უკვე არსებობს, მეორეც – სასტუმრო „რადისონ ბლუდან“ ფუნიკულიორამდე, მშენებლობის პროცესშია. ამ კონტექსტში მინდა აღვნიშნო: აბსოლუტურად გაუგებარია ქვედა სადგურის ადგილის შეცვლა, მისი გადმოტანა სასტუმროსთან, როდესაც არსებობს ძველი ქვედა სადგური იდეალურ ადგილზე, თანაც საბაგირო ტრასა არ კვეთს გამზირს. ყველაფერთან ერთად, ბილბორდზე გამოფენილი სადგურის პროექტი, მისი ფორმა პირწმინდად გადმოტანილია მუმბაიდან (ინდოეთი). ამ კითხვას დიდი ხანია, სვამს საზოგადოება, ქალაქის ხელმძღვანელობიდან არავითარი პასუხი არ ისმის. პროკურატურა უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით, საზოგადოდ არქიტექტურულ-ურბანული დანაშაულობებით, წყალში გადაყრილი მილიარდებით. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

– თქვენ ტელეგადაცემაში თქვით, რომ ქალაქის ზემოდან დათვალიერებისთვის, უკეთესი და ორიგინალური იქნებოდა... მცირე ზომის დირიჟაბლები, ეს ხუმრობა იყო თუ წინადადება განსჯისთვის?

– ხუმრობაცა და წინადადებაც. თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელი იქნება, რატომაც არა, ნამდვილად ჯობია ფერადოვანი დირიჟაბლები, რომლებიც ტურისტებს მცხეთას და სიღნაღსაც დაათვალიერებინებს – ერთი სიტყვით, მე ეს საქმე კარგად არ ვიცი, მეტს ვერ „ჩავუღრმავდები“.

„პანორამა თბილისი“ და „არქიტექტურული დავალება“ თბილისის მომავალ მერს...

როცა პროექტი ეწინააღმდეგება სამშენებლო ნორმებს

— ისიც ცნობილი გახდა, რომ ოთხიდან ერთი „კომპლექსი“ არის ე.წ. „სოლოლაკის ბაღები“. მე მოვიშველიებ მომხსენებელს: — „სოლოლაკის ბაღების“ განაშენიანების იდეას თბილისის რელიეფი იძლევა. 25 ათას კვ.მეტრზე გაშენდება სასტუმროს ინფრასტრუქტურა, ტერასებზე დაირგვება 20 ათასი ხე 5 მეტრამდე სიმაღლისა და აბსოლუტურად შეერწყმება ლანდშაფტს. დახრილი ლიფტების საშუალებით დაუბრკოლებლად შეიძლება გადაადგილება ტერასიდან ტერასამდე. თანაც მნიშვნელოვანია ის, რომ გადაადგილება ყოველგვარი გამონაბოლქვების გარეშე მოხდება“.

რა არის აქ ცუდი და მიუღებელი?

— ოთხი „კომპლექსიდან“ მხოლოდ ე.წ. „სოლოლაკის ბაღების“ ვიდეოჩანაწერი იყო წარმოდგენილი, მას ტელევიზიები ხშირად უჩვენებენ — ესაა ბორცვი ივანიშვილის რეზიდენციის მიმდებარედ, რეზიდენციას და ბორცვს არსებული გვირაბის სახურავი აერთიანებთ. აქ უნდა გაშენდეს ტერასული სასტუმრო, ბორცვის ნაწილი დატერასდება და დაირგვება ხეები. რეზიდენცია და ბორცვის „მაღლობი“ საბაგიროთი დაუკავშირდებიან ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ბუნებრივი ბორცვი გადაიქცევა არქიტექტურულ-დატერასებულ ხელოვნურ ბორცვად. კიდევ ერთ ოცნებას გაგიმხელთ. ეს მთა მთლიანად ბროწეულით უნდა „მოშენდეს“. ქალაქში ბროწეულის მთა, წითელი მთა, წელიწადის ყველა დროს ფერადოვანი იქნება. ეს თბილისის ერთ-ერთი უნიკალური სავიზიტო „ობიექტი“ გახდება.

— ვინაა ამ მეგაპროექტის არქიტექტორი, თუნდაც წარმოდგენილი ტერასული სასტუმროსი?

— დაასახელეს არქიტექტორი, გვარი არ მახსოვს, ქართული გვარისა იყო. ჩემთვის, ასევე იქ დამსწრე არქიტექტორებისთვის მისი ვინაობა უცნობია. რაც შეეხება ვიდეოთი წარმოდგენილ ტერასულ სასტუმროს, ის ძალიან ზოგადია, არქიტექტორული თემის ამ მიმართულების გარეშე,უინტერესო, გარდა ამისა, ვიდეოპრეზენტაცია მხოლოდ მოყვარულებს თუ დაინტერესებთ, ვინაიდან ის ირეალურია, არც ერთი ხედვის წერტილი არ არის რეალური, ისინი სადღაც სივრცეში არიან. ზედხედები, ეფექტური რაკურსები, კარგი სატყუარაა არაპროფესიონალებისთვის. ხელოვნური გორაკი მნიშვნელოვნად ცვლის ისტორიული ნაწილს, მთლიანად ქალაქის სივრცებრივ და არქიტექტურულ სახეს, საზოგადოების უარყოფითი რეაქციაც აქედან მომდინარეობს.

— ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციამაც ხომ არ შეიტანა ამ არეალის არქიტექტურულ-სივრცულ სახეში დისონანსი.

— ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია, ის მუდმივად ცვალებადია. ქალაქი არ არის ერთი კონკრეტული ძეგლი, ვთქვათ, ჯვარი ან „ვეფხი და მოყმე“, რომლის ხელის ხლება დაუშვებელია. თუმცა, „ვარდების“ პერიოდში ყველაფერი შეიძლებოდა, გავიხსენოთ ბაგრატის ტაძრის ისტორია, უმასშტაბო ნაგებობა სვეტიცხოვლის კარიბჭესთან და სხვა მრავალი. რაც შეეხება ივანიშვილის რეზიდენციას, ვერ ვიტყვი, რომ მან დისონანსი შეიტანა არსებულ არქიტექტურულ-სივრცულ გარემოში. „ვარდების“ პერიოდში საქართველოში მოღვაწე არც ერთ უცხოელ არქიტექტორს გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან კონტექსტზე არ უზრუნია. სოლოლაკის რეზიდენციის შემთხვევაში არის კონტექსტის მცდელობა, ვფიქრობ, წარმატებული. წრიული ფორმის „კოშკები“ იწვევენ ასოციაციებს ნარიყალას გოდოლებთან. კომპლექსის მოცულობა დანაწევრებულია. სივრცობრივი ხასიათი, მასები,სილუეტი აგრძელებენ ფერდობის სტიქიურ განაშენიანებას. შენობის არქიტექტურული თემა, მასალა (მინა, ლითონი), ფრაგმენტები, ეს გემოვნების საკითხია. ამ მხრივ ნაკლებად ვარ მოხიბლული, შესაძლოა, საერთოდ „ჰაიტეკისადმი“ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, ლითონის სიჭარბის, მისი როგორც მასალის სიცივისა და თანდაყოლილი არაინტიმურობის გამო.

— ბატონო ვახტანგ, როგორ გგონიათ, განხორციელდება „პანორამა თბილისის“ მასშტაბური პროექტი?

— ჯერჯერობით ის ეწინააღმდეგება სამშენებლო წესებსა და ნორმებს, არქიტექტურულ ლოგიკას. ავტორიტარიზმის პერიოდში ეს დასაშვები იყო, იტყოდა „მეფე“ და... მორჩა. დღეს არა მგონია, ასეთი რამ მოხდეს...

— თქვენ რას ურჩევდით ქვეყნის მომძლავრებისთვის გამიზნულ თანაინვესტირების ფონდს?

— უდიდესი ნიჭი და გონიერება სჭირდება „ფულის შოვნას“, მაგრამ უფრო დიდი ნიჭი და გონიერებაა საჭირო ფულის გონივრულად ხარჯვისთვის. არც სარაჯიშვილის, არც ზუბალაშვილების და არც ხოშტარიას გვარები, რომელთაც ასე მოწიწებით მოიხსენიებენ დღეს საქართველოში, არავის ემახსოვრებოდა, მათ რომ „ფულის გონივრულად ხარჯვის“ ნიჭი არ ჰქონოდათ. რაღა შორს წავიდეთ, ამ თვალსაზრისით კლასიკური მაგალითია ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ეს პრეამბულის სახით. ჩემი აზრით, პირველი, რაც ფონდმა უნდა გააკეთოს, ესაა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ქვეყნის უპირველესი, გადაუდებელი პრობლემების დასადგენად, ამ გამოკითხვის შედეგების შესწავლა, სისტემატიზაცია, მათი რაციონალური გადაწყვეტის ფორმების ძიება, მუდმივი კავშირი პროფესიონალებთან... არქიტექტურის პრობლემები უნდა გადაწყდეს კონკურსების გზით, კონკურსების ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, გამომდინარე ამოცანიდან — აჩქარება საქმის უპირველესი მტერია.

არა მგონია, ასეთი მასშტაბური არქიტექტურული პროგრამის შესრულება შესაძლებელი იყოს არა თუ თბილისის ისტორიულ ნაწილში, არამედ საერთოდ ქალაქის საზღვრებში. აუცილებელი იქნება ქალაქიდან გასვლა და ახალი თანამედროვე „სატელიტი ქალაქის“ შექმნა, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა პარიზმა. ამ პრინციპმა გადაარჩინა ისტორიული პარიზი. მოგვიანებით ეს გზა აირჩია მსოფლიოს არაერთმა ისტორიულმა ქალაქმა, მხოლოდ სწორი ალტერნატივით შეიძლება კაპიტალის ქვეყნის სამსახურში ჩაყენება.

— კარს მოგვადგა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, თვენახევარში თბილისს ახალი მერი ეყოლება, რა მოლოდინები გაძვთ, რა რჩევები, რა „არქიტექტურული დავალება“?

— ახალ მერს უაღრესად რთული პრობლემები დახვდება, მათი გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პროფესიული გუნდის მეშვეობით.

... საყოველთაოდ ცნობილია, რომ არქიტექტურული პროექტით შედეგის პროგნოზირება თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება. გონივრული არქიტექტურული პოლიტიკის — დაპროექტება, რეცენზირება, განხილვა-დამტკიცების პროცედურის სწორად წარმართვის შემთხვევაში, თავიდან ავიცილებთ ყველა იმ უმძიმეს არქიტექტურულ-ურბანულ შეცდომებსა და აბსურდებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბოლო 10 წლის მანძილზე და პერმანენტულად ქმნიდა კონფლიქტებს. მაგრამ პროექტის „წაკითხვას“, ისევე როგორც ნოტებით მუსიკის მოსმენას, დიდი პროფესიონალიზმი სჭირდება. არქიტექტორის დიპლომი ჯერ კიდევ არ ნიშნავს არქიტექტორობას, მით უფრო პროფესიონალიზმს.

ახალმა მერმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ პრინციპულად შესაცვლელია მერიის არქიტექტურის სამსახურის სტრუქტურა, პროექტების რეცენზირება-განხილვა-დამტკიცების წესი. ის უნდა იყოს ღია, საჯარო, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

არქიტექტურის სამსახურის უფროსი, იმავდროულად, უნდა იყოს ქალაქის მთავარი არქიტექტორი და მერის ერთ-ერთი მოადგილე. უნდა აღდგეს მთავარი მხატვრის სამსახური, სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, რომლის ფუნქცია იქნება ქალაქის კეთილმოწყობა, ქალაქის „ავეჯი“, მცირე არქიტექტურა, მონუმენტები, მემორიალები, რეკლამა, ღამის განათება, გამწვანება და სხვ.

ყველა მნიშვნელოვანი პროექტი უნდა შეირჩეს ღია კონკურსით, მათ შორის, ისინიც, რომლებსაც კერძო ინვესტორები აფინანსებენ. ინვესტორობა არ ნიშნავს უფლებას, რაც გინდა ის აკეთო. მისი სურვილები, აუცილებლად თავსებადი უნდა იყოს ქალაქთან...

არქიტექტურა, ქალაქი, საქალაქო სივრცე არ არის არც პრეზიდენტის, არც მერის, არც ინვესტორის ექსკლუზივი. ის საზოგადოებისაა, დღევანდელი და მომავალი თაობებისაა. არქიტექტურა არ არის ლექსი, სპექტაკლი, კინო — უმტკივნეულოდ „აუარო გვერდი“, ვერ შეამჩნიო. შენ იძულებული ხარ იარსებო ურბანულ სივრცეში, ყოველდღიურად, იძულებით მიიღო დადებითი თუ უარყოფითი ემოციები. არქიტექტურული კონკურსები არა მხოლოდ საუკეთესო პროექტის გამოვლენაა, არამედ საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რაც აგვაცილებს იმ სკანდალურ არქიტექტურულ ფაქტებს, რომელიც ასე მომრავლდა დედაქალაქში და პერიფერიებში. დღეს პროცესი ისევ დახურულია, ყველაფერი წყდება კარს მიღმა.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ურბანული კოლაფსი, რომლის ნიშნები უკვე არის, როგორც პირველი რიგის ამოცანა, უნდა შეიქმნას გენგეგმის საპროექტო-საკვლევი ინსტიტუტი, რათა უზრუნველყოთ ქალაქის ჯანსაღი ორგანიზმი, ხოლო ინვესტორებს შევთავაზოთ ალტერნატივები. მთელს მსოფლიოში გენგეგმის ინსტიტუტები მუდმივმოქმედი საბიუჯეტო სტრუქტურებია. ერთ მაგალითს მოვიყვან: მოსკოვის მთავარი არქიტექტორის სამსახურში სულ რაღაც 50 თანამშრომელია, მათ უკან დგას გენგეგმის ინსტიტუტის 900 სხვადასხვა სპეციალობის თანამშრომელი, მათ აქვთ პასუხი ყველა გამოწვევაზე, თანაც ალტერნატიული პასუხები. გენგეგმის ინსტიტუტი ქალაქის ტვინია, ხოლო გენგეგმა ქალაქის კონსტიტუციაა. ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გენგეგმის ინსტიტუტი ასევე მოემსახურება მთელ საქართველოს.

— უცხოელი არქიტექტორების მოძალებაზე რას ფიქრობთ?

— მივესალმები უცხოელი არქიტექტორების მოღვაწეობას საქართველოში, მაგრამ მათ ეს უნდა მოიპოვონ ღია კონკურსით, თანაბარ პირობებში, ასეთია წესი მთელ მსოფლიოში. გამონაკლისი იყო მხოლოდ საქართველო, სადაც „უცხოელი“ პანაცეა იყო და დაკვეთებსაც „პირდაპირი განკარგვის“ წესით ღებულობდა, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში კატეგორიულად მიუღებელია, რადგანაც მასშტაბურ კორუფციას უკავშირდება. გარდა ამისა, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხაზგასმული უპატივცემლობა გამოიჩინა ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიის მიმართ.

ახალმა მერმა პირველსავე დღეებში უნდა გამონახოს შესაძლებლობა და შეხვდეს არქიტექტორებს. დარწმუნებული ვარ, ის მრავალ გონივრულ რჩევას მიიღებს.

— ერთი სიტყვით, ახალმა მერმა და მისმა გუნდმა არქიტექტურა ქართველ არქიტექტორებს უნდა დაგიბრუნოთ...

— დიახ, ჩვენი მოთხოვნა ერთობ მარტივია: დაგვიბრუნეთ არქიტექტურა პროფესიონალ არქიტექტორებს.

ვახტანგ დავითაია,
სპარტაკ ქოგულია.

საქმე №1/06-2014

საარბიტრაჟო განჩინება

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

2 მაისი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი“**
საარბიტრაჟო მოპასუხე: **გრიგოლ მშვილდაძე, ავთანდილ კლერტიაშვილი**

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 4 მარტს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის გრიგოლ მშვილდაძისა და ავთანდილ კლერტიაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 6 თებერვალს ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა“ და მეორეს მხრივ, გრიგოლ მშვილდაძეს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება №021311440, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მოპასუხე გრიგოლ მშვილდაძეზე გასცა 3200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 4 თვე.

ხელშეკრულების თანახმად სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის, გრიგოლ მშვილდაძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს ავტომანქანა – მერსედეს-ბენც ML270 CDI, რომლის მახასიათებლებია: ტრანსპორტის გამოშვების წელი – 2002; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №WDC1631132A369837. სარეგისტრაციო მოწმობა: AV9608781, სარეგისტრაციო ნომერი: PVP389.

იმავე დღეს, 2013 წლის 6 თებერვალს შპს „ნოვა კრედიტსა“ და ავთანდილ კლერტიაშვილს შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მან აიღო პასუხისმგებლობა შპს „ნოვა კრედიტ“-სა და გრიგოლ მშვილდაძეს შორის დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებაზე.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაიღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გრიგოლ მშვილდაძესა და ავთანდილ კლერტიაშვილს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ და მათი რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ისინი მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობენ.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გრიგოლ მშვილდაძესა და ავთანდილ კლერტიაშვილს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხეები რეგისტრაციისა და ამავდროულად მათ უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე აღარ ცხოვრობენ, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს განჩინება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე გრიგოლ მშვილდაძესა (პირადი №10001010605) და ავთანდილ კლერტიაშვილს (პირადი №01008046272) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. გრიგოლ მშვილდაძესა და ავთანდილ კლერტიაშვილს განემარტოთ, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე გრიგოლ მშვილდაძესა და ავთანდილ კლერტიაშვილს ეცნობოთ, რომ 2014 წლის 23 მაისს 12:00 საათზე შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია მთავარი საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით გრიგოლ მშვილდაძისა და ავთანდილ კლერტიაშვილის მიმართ.
5. გრიგოლ მშვილდაძესა და ავთანდილ კლერტიაშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო განჩინებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

დედამიწის ზურგზე

ნატოში გადაწყვიტეს, რომ რუსეთი უკრაინაში ჯარს არ შეიყვანს, თუმცა, იქ შუოთს დაამკვიდრებს

ვლადიმერ პუტინმა უკრაინის ტერიტორიების „თანდათანობითი“ დაქვემდებარების სცენარი შეარჩია, მიაჩნია გენერალ ფილიპ ბრიდლავს, რომელიც ევროპაში ნატოს კონტინგენტს უდგას სათავეში. მისი სიტყვებით, რუსები „გააგრძელებენ იმის გაკეთებას, რასაც უკვე აკეთებენ: მოახდინონ უკრაინის მთავრობის დისკრედიტაცია, პროტესტების პროვოცირება და მოამზადონ ნიადაგი სეპარატისტული მოძრაობისთვის“.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჯამა 5 მაისს სლავიანსკში სპეცოპერაციის შედეგი: ძალოვნებმა დაკარგეს 4 მებრძოლი, მეამბოხეებმა – დაახლოებით 30

წინა დღით სეპარატისტები იტყობინებოდნენ 20 დაღუპულის შესახებ, შემდეგ ასახელებდნენ სხვა ცნობებს, გვპირდებოდნენ, რომ 6 მაისის დილისთვის დააზუსტებდნენ ინფორმაციას. ამ დროს ინტერნეტში გაჩნდა ვჯავშანმატარებლის ვიდეო, რომელიც სეპარატისტებს შეეძლოთ გამოეყენებინათ სროლისთვის. მისი დახმარებით მათ თითქოს წინა დღით ჩამოაგდეს უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენი.

მოლდოვის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება, გააძლიერონ კონტროლი საზღვარზე უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით

შესაბამისი ერთობლივი განცხადება ქვეყნის უშიშროების საბჭოს სხდომის შედეგების შესახებ გააკეთეს პრეზიდენტმა ნიკოლაი ტიმოფტიმ, პრემიერ-მინისტრმა იური ლიანკემ და პარლამენტის თავმჯდომარემ იგორ კორმანმა. მათ ასევე გამოთქვეს ღრმა თანაგრძნობა მთელი უკრაინელი ხალხის მისამართით ოდესასა და სლავიანსკში ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ვენესუელაში ორი პრეზიდენტის პირადი მცველი მოკლეს

ლეიტენანტი მარკო კორტესი შედიოდა პრეზიდენტის პირად დაცვაში უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში, ესე იგი იცავდა არა მხოლოდ მადუროს, არამედ მის წინამორბედსაც, უგო ჩავესს. გასულ კვირას კარაკასში მოკლეს ეროვნული დაზვერვის ყოფილი უფროსი. მისი სხეული უშენ ადგილას აღმოაჩინეს.

◎ თბილისმა უმასპინძლა

ნორჩი გამოგონებლები ხუთივე კონტინენტიდან

გასულ კვირას თბილისმა ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადას უმასპინძლა. „თბილისი მოლში“ 37 ქვეყნიდან ჩამოსულმა სტუმრებმა 120 გამოგონება წარმოადგინეს. 3 მაისს გამოფენა ოფიციალურად გახსნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ. ცერემონიალს ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, საელჩოების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

უნდა ითქვას, რომ ოლიმპიადა მერვედ იმართება საქართველოში, ყოველწლიურად გაზაფხულზე და მისი ორგანიზატორია „ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებები“.

* * *

გვესაუბრება ოლიმპიადის საორგანიზაციო საბჭოს წევრი, „ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების“ თანამშრომელი **თინათინ ჩხაიძე:**

— ამ ოლიმპიადას საფუძველი ათი წლის წინათ ჩაეყარა. პირველი ორი წელიწადი კონკურსი მხოლოდ ეროვნული მასშტაბისა იყო, ხოლო შემდეგ ის გასცდა საქართველოს ფარგლებს და აი, როგორც ხედავთ, ხუთივე კონტინენტიდან გვყავდა მონაწილეები.

— რა მიზანს ისახავს ასეთი ტიპის ოლიმპიადა?

— ჩვენი უპირველესი მიზანი იყო, დაგვეინტერესებინა ბავშვები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით და გამოგვევლინა ამ საგნებში გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. როგორც იცით, ოლიმპიადაში მონაწილეობენ VII-XII კლასელები. განსაკუთრებული უნარის მქონე ახალგაზრდებს ვეხმარებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფართო წრეებს გააცნონ საკუთარი ინოვაციური გამოგონებები. ჩვენ ხელს ვუწყობთ, პრაქტიკულად განახორციელონ თავიანთი ჩანაფიქრი, გაეცნონ ერთმანეთის ნამუშევრებს... რაც ეს ოლიმპიადა საერთაშორისო გახდა, კიდევ უფრო დაიხვეწა ოლიმპიადის შედეგები. ახალგაზრდები ამყარებენ ერთმანეთთან კულტურულ კავშირებს, ეცნობიან ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ჩამოსული ბავშვები ქართველი ბავშვების ოჯახებში ცხოვრობენ. საფუძველი ეყრება მათ შორის მეგობრობას. ეპატიჟებიან იქითაც, შემდეგ ქართველები ჩადიან სხვა ქვეყნებში და გზა ეხსნებათ ჩვენს ბავშვებს უცხოეთში. ოლიმპიადაზე თითოეული ქვეყნის მონაწილე საკონკურსო ექსპონანტთან ერთად წარმოადგენს თავისი ქვეყნის დამახასიათებელ ნივთებს, ნიმუშებს, კატალოგებსა თუ სხვას და ასეთი ხერხებით აცნობს თავის სამშობლოს საზოგადოებას... მოკლედ, მართლაც რომ კარგი წამოწყებაა და შესაბამისად, საინტერესო განვითარებაც ჰპოვა.

— დიახ, ბავშვები მონდომებითა და ხალისით ცდილობდნენ, თავის ქვეყანაზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეწოდებინათ დამთვალიერებელისთვის... ვინ არიან ასეთი კარგი იდეის მხარდამჭერები?

— იდეა მოდის „ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებებიდან“. მას აქვს რამდენიმე სკოლა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავსა და მარნეულში. თბილისის შავი ზღვის უნივერსიტეტიც ამ ორგანიზაციას განეკუთვნება. „ჩაღლარის“ ამ წამოწყებას პირველივე დღიდანვე მხარს უჭერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეს ტარდება მათი ნებართვით, გვეხმარებიან ინფორმაციის გავრცელებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში. ოლიმპიადა ორ ეტაპს მოიცავს. ერთი თვის წინათ ჩავატარეთ ეროვნული მასშტაბის კონკურსი, სადაც 70-მდე პროექტი იყო წარმოდგენილი. გამარჯვებულმა 20-მა პროექტმა კი საერთაშორისო ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა. როგორც მასპინძელი ქვეყანა, საქართველო ამჯერადაც უფრო უხვად იყო წარმოდგენილი.

მინდა, მადლობა გადავუხადო ევროკომისის წარმომადგენლობას საქართველოში, რომელიც ყოველთვის აქტიურად გვეხმარება, გულშემატკივრობს მონაწილეებს და ასაჩუქრებს. მადლიერებით უნდა მოვიხსენიო საქპატენტი — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი, ისიც ყოველწლიურად ჩვენ გვერდით არის და დაწესებული აქვს სპეციალური პრიზიც კი... ერთი სიტყვით, საკმაოდ წარმომადგენლობითი მხარდამჭერები გვყავს.

— ვინ არიან ჟიურის წევრები?

— ესენი გახლავთ საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესურა, რომლებიც წლების განმავლობაში თანამშრომლობენ ჩვენთან აბსოლუტურად უანგაროდ, დაუზარებლად და დიდი მონდომებით.

— თქვენ ახსენეთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. კონკრეტულად რომელი საგნის სექციები წარმოადგინეს ოლიმპიადაზე?

— კონკრეტულად საინფორმაციო ტექნოლოგიები — ინფორმატიკა არის წარმოდგენილი; ასევე ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა. ინჟინერია, სადაც თავმოყრილია სამრეწველო-საყოფაცხოვრებო ნივთებთან დაკავშირებული ინოვაციები...

— ქალბატონო თინათინ, უკვე მერამდენე წელიწადია ტარდება ოლიმპიადა. საინტერესოა გამარჯვებულის შემდგომი ბედი, ანუ განავითარა თუ არა რომელიმემ თავისი გამოგონება, ან ხომ არ დაინერგა პრაქტიკაში და ა. შ.

— იქიდან გამომდინარე, რომ ესენი სკოლის მოსწავლეები არიან, მათი ინოვაციის დანერგვა მაინც და მაინც ვერ ხდება, თუმცა ერთი-ორი მაგალითი შემიძლია გითხრათ. ჩვენ გვყავდა გორელი მონაწილე ალექსანდრე ონიაშვილი. მან გამოიგონა მიწის დასამუშავებელი ხელსაწყო, ხოლო საქპატენტმა მას გადასცა შესაბამისი საბუთი. ასევე საინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთი გამოგონება: ფეხსაცმლის ქუსლში ჩამონტაჟებული აკუმულატორი, რომელიც მობილური ტელეფონის სატენად გამოიყენება. გამარჯვებულმა ამის შესახებ მისწერა „ნოკიას“, საიდანაც გამოხმაურება მიიღო და ამ ფირმის ვებ-გვერდზეც კი არის ინფორმაცია განთავსებული. სამწუხაროდ, უფრო შორს ეს ურთიერთობა, ჯერჯერობით არ წასულა...

— ჩამოსული ბავშვები, ალბათ, კმაყოფილები არიან ჩვენს ქვეყანაში სტუმრობით.

— ძალიან მადლიერები არიან. ის კი არადა, მეორედ და მესამედ ჩამოდიან. ჩვენი წესდებით, მხოლოდ ერთი მონაწილე უნდა ჩამოვიდეს, თუმცა შემოტევაა ხოლმე, გვთხოვენ დამატებას, ამის გამო წესდების დარღვევა გვიწევს კიდეც. ოლიმპიადის გარდა გათვალისწინებულია ექსკურსიები, ღონისძიებები, ჩამოსულებს განსაკუთრებით ფოლკლორული კონცერტები მოსწონთ...

* * *

5 **მაისს** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ პირველ ადგილზე გასულები ოქროს მედლებით დააჯილდოვა. გამარჯვებულები დასახელდნენ შემდეგ საოლიმპიადო დისციპლინებში: ფიზიკა, მათემატიკა, ინჟინერია და თანამედროვე ტექნოლოგიები.

თეა მოსია.

ფოტო მოგვაწოდა ოლიმპიადის პრესცენტრმა.

◎ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის

„თანაბარი უფლებები - თანაბარი შესაძლებლობა“

რამდენად მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ბავშვებმა სკოლაში ერთად ისწავლონ? არის თუ არა შესაბამისი ფიზიკური გარემო საქართველოში ინკლუზიური განათლებისთვის?

კოალიციამ „ხელმისაწვდომი განათლება ყველასთვის“ საქართველოში 22 სკოლის მონიტორინგი ჩაატარა. რამდენად მზადაა საქართველოში სკოლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მისაღებად?

კოალიციამ „ხელმისაწვდომი განათლება ყველასათვის“ იმ სკოლების მონიტორინგი ჩაატარა, სადაც ინკლუზიური განათლების მეთოდია დანერგილი. 5 მაისს, გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიციის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მონიტორინგის შედეგებზე ისაუბრეს. ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ წევრმა ნინო ბაიდაურმა ილაპარაკა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა სკოლაში იმ ბავშვებთან ერთად იაროონ, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობები არა აქვთ: **„ნებისმიერი ის პრობლემა, რომელიც შშმ ადამიანების წინაშე დგას, ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ერთმანეთზეა ჩაბმული. შესაბამისად, მათი მოგვარების გზებიც ჯაჭვურადაა ერთმანეთზე ჩაბმული. იგივე ხელმიუწვდომელი განათლება მათ ხელს უშლით მომავალში სამსახურის პოვნაში, რადგან არაკონკურენტუნარიანები არიან. შესაბამისად, ვერ ებმებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.**

აბსოლუტურად, სრულად ხელმისაწვდომი და ყველა სტანდარტის დაცვით აშენებული შენობა-ნაგებობები ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვაქვს. ამიტომაც შემოგვაქვს ნაწილობრივ მისაწვდომობის ტერმინი...

მონიტორინგი მთელი საქართველოს მასშტაბით 22 სკოლაში ჩატარდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა გამოიკვლიეს, ანუ რამდენად ადვილად შეუძლიათ მოსწავლეებს სკოლამდე მისვლა, შენობაში გადაადგილება... ასევე, რამდენად აკმაყოფილებს საკლასო და რესურსოთახები ინკლუზიური განათლების სტანდარტებს და ა.შ. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პირობები ან საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი, ან ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია.

გიორგი ალავიძე — ორგანიზაციის „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“ გამგეობის თავმჯდომარე, ეტლით გადაადგილდება. მას პრესკონფერენციაზე მომხსენებლებისათვის განკუთვნილ შემაღლებულ ადგილზე ასასვლელად რამდენიმე ადამიანის დახმარება დასჭირდა. მისი განმარტებით, ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ისეთი გარემო, რომელიც სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს სრულად ვერ აკმაყოფილებს: **„ჩვენი მთავარი სურვილია, ბავშვები იყვნენ დამოუკიდებლები. სანიტარულ კვანძებშიც თვითონ მოემსახურონ თავის თავს. არის რამდენიმე სკოლა, მე რომელიც ვნახე, რომელიც იყო პროგრამაში ჩართული. იქ შეიძლება სინათლის სანათებელი იყოს ზევით და ვერ მისწვდეს. როდესაც ადამიანს, მაგალითად, ქურთუკის ჩამოკიდება სჭირდება, ვერ სწვდება და ვინმეს ეძახის დასახმარებლად, ეს უქმნის პრობლემას და დამოუკიდებლობის ხარისხს დაბლა სწევს“.**

ჯერ დავინახოთ, რომ არსებობს... რატომღაც გვგონია, რომ ასეთი ადამიანები ჩვენ გარშემო არ არსებობენ. და ჩვენ, საზოგადოებამ, და მთავრობამ ხელი უნდა შევუწყოთ ამ ადამიანების ხარისხიანი ცხოვრების უზრუნველყოფას...

გარდა ამ პრობლემებისა, როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ფიზიკური გარემო მხოლოდ იმ მოსწავლეებისათვისაა ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი, რომლებსაც ეტლით გადაადგილება უწევთ. მხედველობა ან სმენადაქვეითებული მოსწავლეებისათვის საჭირო სტანდარტებს კი სკოლები სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

გიორგი გოგუა,
რადიო „თავისუფლება“

◎ წარსულის გავლით – მომავლისკენ

ფაჩულია ახალგაზრდა კალათბურთელებს შეხვდა და სპორტის მუზეუმი მოინახულა

კალათბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და NBA-ს კლუბ „მილუოკი ბაქსის“ წევრი, ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია ახალგაზრდა, მომავალ კალათბურთელებს შეხვდა, მათთან ერთად ქართული სპორტის მუზეუმს ესტუმრა და საკუთარი სათამაშო მაისური უსახსოვრა, რომლითაც „ატლანტა ჰოუქსში“ თამაშობდა.

აღნიშნული მუზეუმი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობაშია განთავსებული, სადაც თავმოყრილია ქართველი სპორტსმენების მიერ მოგებული მედლები, თასები, სიგელები და ნაირგვარი ტიტულები. იქ ნახავთ სხვადასხვა სინჯის ოლიმპიურ მედლებს, მსოფლიო, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის თასებს.

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მოზარდი სპორტსმენების მუზეუმში სტუმრობის ტრადიცია მიმდინარე წელს დანერგა, რითაც ახალგაზრდა თაობას ქართული სპორტის ისტორიას აცნობს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ანანიძე - საუკეთესო გამთამაშებელი

„სოვეტსკი სპორტის“ მკითხველებმა ჯანო ანანიძე რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო გამთამაშებლად დაასახელეს. „როსტოვის“ ქართველმა ლეგიონერმა 586 ხმა მოაგროვა, მეორეზე რომან შიროკოვი („კრასნოდარი“) გავიდა 461 ხმით, მესამეზე კი – პორტუგალიელი მიგელ დანი („ზენიტი“) 319 ხმით. სულ 6 გამთამაშებელი იყო შერჩეული.

გამოკითხვა 24 აპრილიდან მიმდინარეობდა. 21 მატჩი, 3 გატანილი ბურთი, 7 საგოლე პასი – ასეთია ჯანოს სტატისტიკა მიმდინარე პრემიერლიგაში. ამას გარდა, ანანიძე მშვენივრად თამაშობდა თასზე და მისი დიდი დამსახურებაცაა, რომ „როსტოვი“ ფინალშია გასული. „როსტოვ“-„კრასნოდარის“ ფინალი 8 მაისს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ პროექტი

სტამს ქართულ დებიუტს პასპორტი აშორებს

ჰოლანდიელი ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი ესტერ სტამი საქართველოს სახელით ტატამზე მას შემდეგ გავა, როცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელ პასპორტს მიიღებს.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილის ინფორმაციის თანახმად, მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესი უკვე დიდი ხანია წარმატებით დასრულდა, იურიდიული ფორმალობებიც მოგვარებულია და ერთადერთი, რაც სტამის საქართველოს სახელით ჭიდაობას სჭირდება, საქართველოს პასპორტია.

ძიუდოს ფედერაციამ საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე მიმართა და იყო შანსი, რომ ესტერ სტამი ევროპირველობაზე გამოსვლას შეძლებდა, მაგრამ ეს არ მოესწრო და დებიუტიც გადაიდო.

ესტერ სტამი 1987 წელსაა დაბადებული. იგი 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჰოლანდიის მოქმედი ჩემპიონია, თუმცა, შიდა კონკურენციაში ისეთ ძიუდოისტებთან უწევს ბრძოლა, მსოფლიოს ტატამზე სხვა ქვეყნის სახელით გასვლა, ალბათ, მისთვისაც საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. შეგახსენებთ, ამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს რეიტინგის მოწინავე ხუთეულში ორი ჰოლანდიელია: ევროპის მოქმედი ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი კიმ პოლინგი სულაც რეიტინგის ლიდერია, იუნიორებსა და ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი ლინდა ბოლდერი კი მეხუთეა. სტამი მხოლოდ 96-ე პოზიციას იკავებს. თანამემამულეთაგან მასზე წინ ევროპის 5-გზის და მსოფლიოს ჩემპიონი ედიტ ბოსხიც (52-ე ადგილი) დგას.

2007 წელს ზალცბურგში გახდა 23-წლამდელთა შორის.

ბეჭან დოლიძე

◎ ავტოსპორტი

„მია ფორსის“ პილოტები წარმატებით ასპარეზობენ

შსს-ს სპორტულ კლუბ „მია ფორსის“ პილოტები დათა ქაჯაია და კონსტანტინე კოლიაშვილი ევროპაში ასპარეზობას განაგრძობენ ლეგენდსის კლასში. გასული ორი სეზონის ტრიუმფალური შედეგების შემდეგ (დათა ევროპის ორგზის ჩემპიონი გახდა) სპორტსმენები ე.წ. ჩემპიონთა რბოლაში მოხვდნენ – ეს არის ლეგენდ სუპერთასი რომელიც FIA-ს ეგიდით ტარდება.

ჩემპიონატში ევროპის სხვადასხვა კლასის ჩემპიონები ასპარეზობენ საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ესპანეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან. სასტარტო რბოლა პორტუგალიაში პორტიმაოს ავტოდრომზე გაიმართა. პირველივე ოფიციალურ ვარჯიშზე საუკეთესო პირველი და მეორე დრო აჩვენეს დათამ და კოტემ. თუმცა, ოთხი 20-წუთიანი რბოლის შედეგად დათამ ერთი პირველი და სამი მეორე ადგილი მოიპოვა.

ამ უსწრაფეს და ურთულეს რბოლაში გამოიკვეთა ლიდერი – ტიტულოვანი ესპანელი დანიელ კამპოს ჰული, რომელიც ფორმულა 3-ის ძალიან ცნობილი და პოპულარული პილოტია სამშობლოში. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ მისი გულშემატკივრები ესპანეთის ეტაპზე ნავარას ტრეკზე გაზრდილი დანიელის ასპარეზობაზე და ამით, ცოტა არ იყოს, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენდნენ აქ პირველად მოხვედრილ ქართველ მრბოლებზე. ამას დაემატა ესპანეთის ეტაპზე ლეგენდსის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის (ნახევრად პროფესიონალთა და პროფესიონალთა კლასში) ამერიკელი ჯერემი ვაგნერის გამოჩენაც მოასპარეზეთა შორის.

პირველი სარბოლო დღის ორივე შეხვედრაზე დათა მესამე ადგილს დასჯერდა. ამასთანავე, ტრასაზე მოხდა ინციდენტი, რომლის დროსაც ერთი ბოლიდი შეეჯახა დათას მანქანას და გამოეთიშა რბოლას, ხოლო ქაჯაიამ ძლივს მოახერხა მანქანის დამორჩილება და პოზიციის შენარჩუნება. ცოტა გაუგებარი აღმოჩნდა მსაჯთა გადაწყვეტილება, როცა აღნიშნულის გამო 25 წამით დაჯარიმდა ჩვენი პილოტი. შესაბამისად, მეორე სარბოლო დღეს დათამ ბოლო მე-9 პოზიციიდან დაიწყო ასპარეზობა. ამდენად, კიდევ უფრო სენსაციური აღმოჩნდა დათა ქაჯაიას პირველ ადგილზე გასვლა. აქვე აღსანიშნავია კოტეს დამსახურებაც, რომელმაც შესანიშნავი სტრატეგია გამოიყენა თანაგუნდელის დასახმარებლად, თვითონ კი მე-5 ადგილს დასჯერდა.

ამგვარივე შედეგით დასრულდა მეორე ფინალური 20-წუთიანი რბოლაც. დათა ქაჯაია პირველივე წრეზე დაწინაურდა, მისთვის ჩვეული თავდაუზოგავი სტილით ჩამოიტოვა უკან ამერიკელი ჩემპიონიც და ესპანელი პილოტიც, ფინიშამდე პირველი ადგილის შენარჩუნება კი ფაქტიურად არც გასჭირვებია.

იმედია, ჩვენს გუნდს ექნება საშუალება გააგრძელოს ასპარეზობა ესოდენ პრესტიჟულ ჩემპიონატში, რადგან ნამდვილად გვაქვს შანსი საქართველო ზედიზედ მესამედ გახდეს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი.

ნატა ნიბლაძე

◎ პერსპექტივა

ლუის ენრიკე „ბარსელონას“ მოელაპარაკა

„სელტას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად უარყო ესპანური გამოცემების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს „ბარსელონასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას, მაგრამ მასმედია მაინც აქტიურად ირწმუნება, რომ კატალონური კლუბის ხელმძღვანელობა და ყოფილი ფეხბურთელი შესაძლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით საუბრობენ. ერთ-ერთი წყაროს – Onda Cero-ს ცნობით კი „ბარსელონას“ სპორტულ დირექტორ ანდონი სუბისარეტასა და ლუის ენრიკეს ბოლო შეხვედრის შემდეგ, რომელიც გუშინ გაიმართა, გადაწყდა, რომ „სელტას“ თავკაცი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ხერარდო მარტინოს ადგილს დაიკავებს.

გიორგი შოთაძე

◎ პატივგება

ნადალი საპატიო მადრიდელია

მსოფლიო რეიტინგსიის პირველი ნომერი რაფა ნადალი ამჟამად ესპანეთის დედაქალაქშია, სადაც „მასტერზ 1000“-ის საჩემპიონო ტიტულის დაცვას შეუდგება. გუშინ კი სადიდსლემო ტურნირების 13-გზის ტრიუმფატორი მალიორკელი მადრიდის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს.

რაფა ნადალი მადრიდის საპატიო მოქალაქედ „განსაკუთრებულად წარმატებული კარიერისთვის, სპორტის მეშვეობით ქალაქთან ხანგრძლივი ურთიერთობისა და სპორტული იდეალების პოპულარიზაციისთვის“ აირჩიეს.

შეგახსენებთ, მადრიდის „მასტერზ 1000“-ის შარშანდელ ფინალში ნადალმა სტანისლას ვავრინკას მოუგო და მესამედ გახდა ამ ტურნირის ჩემპიონი. მადრიდში სამჯერ შვეიცარიელ როჯერ ფედერერსაც უმარჯვია.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

პარაგვაელი ასულები - ფეხბურთის სამსახურში

ვინ თქვა, პარაგვაელ ასულთა სილამაზე ოდენ ლარისა რიკელმეს მკერდზე დგასო? არამც და არამც! ამ ლათინოამერიკულ ქვეყანას იმდენი ეშხიანი ასული დაუდის, სათვალავი რომ აერევა კაცს... როგორც იცით, ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატამდე დღეები რჩება. ეს კი უკვე გაყიდვადი თემაა, მით უმეტეს თუ მოდელებთან გვაქვს საქმე, რომლებიც მსოფლიო თასს დაამშვენებენ.ოთხი ქვეჯგუფი და 32 ნაკრები! მათ შორის არაა პარაგვაის ნაკრები, მაგრამ არიან პარაგვაის სამოდელო სააგენტო HR-ის გოგოები, რომლებიც მუნდიალს თავისებურ ეშხს შესძენენ. ეგაა, სამოდელო სააგენტომ 32-ის ნაცვლად რატომღაც მხოლოდ 11 ნაკრებისთვის შეიგულა მოდელი (ალბათ, საკადრისი მეტი არ ჰყავდათ).როგორც არ უნდა იყოს, შთაბეჭდილების შესაქმნელად ესეც საკმარისი უნდა იყოს. აბა, რა ეგონა ლარისა რიკელმეს? მარტო მაგას გააჯეჯილებდნენ? თან სად... ასეთი ასულებით განთქმულ მხარეში...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ქვეყანა

სტატისტიკა – ციფრები და არგუმენტები

ამ დღეებში საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა გამოაქვეყნა საქართველოს მოსახლეობის შესახებ მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, რომ საქართველოში სოფლად მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს. კერძოდ, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხვმა 4 მილიონ 490.5 ათასი კაცი შეადგინა, მათგან 53.7 პროცენტი ქალაქის, ხოლო 46.3 პროცენტი სოფლის მცხოვრებია.

თუ აქვე გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოება მთლიანი შიდა პროდუქტის სულ რაღაც 8 პროცენტს შეადგენს, ცხადი გახდება, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან მცირე მოცულობის პროდუქციას ქმნის, რაც როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, პრობლემაა ქვეყნისთვის.

ხშირად ეს ციფრები გამოიყენება არგუმენტად იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში დამატებითი რესურსების ჩადების აუცილებლობა დასაბუთდეს, რაშიც, რა თქმა უნდა, არის რაღაც ლოგიკა. თუმცა, არსებობს ასევე არჩევანი, რომელიც არ გამორიცხავს პირველს, თუმცა, კონცეპტუალურად განსხვავებულია და ამბობს, რომ სახელმწიფომ მეტი რესურსი რეგიონალურ ურბანიზაციაში უნდა ჩადოს, ანუ ხელი შეუწყოს რეგიონებში ქალაქის ტიპის დასახლებებისა და წარმოების განვითარებას. ეს არჩევანი ხელს უწყობს სოფელში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, თუმცა, არა მაინცდამაინც და არა იმდენად დედაქალაქში, არამედ რეგიონალურ ცენტრებსა და განვითარებულ რეგიონალურ ქალაქებში დასახლების გზით.

ეს არჩევანი ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, რასაც ექსპერტების მიერ მოყვანილი საერთაშორისო გამოცდილებაც მოწმობს. მაგალითად, ამ თემაზე საუბრისას ხშირად იხსენებენ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში არის 30 ე.წ. აგრარული ქვეყანა, სადაც სოფლად მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი ცხოვრობს და მათგან 23 აფრიკის კონტინენტის ყველაზე ღარიბ რეგიონშია, დანარჩენებს შორის კი ლაოსი და ტაჯიკეთიცაა, რომელთა ეკონომიკური განვითარებაც საკმაოდ შორსაა თუნდაც საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისგან. მაგალითად, ისეთი ღარიბი ქვეყნები, როგორიცაა ნიგერია და ეთიოპია, სწორედ აგრარული ქვეყნებია. მათი ეკონომიკური სტატისტიკის თანახმად, ეთიოპიაში 85 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და სოფლის მეურნეობა მისი ეკონომიკის ნახევარზე მეტს შეადგენს. ნიგერიაში 57 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და სოფლის მეურნეობა მთლიანი ეკონომიკის 40 პროცენტია.

ეს მაშინ, როცა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნომერ მეექვსე ექსპორტიორ ქვეყანაში, საფრანგეთში, მოსახლეობის მხოლოდ 4 პროცენტი ცხოვრობს სოფლად, სოფლის მეურნეობის წილი კი მთლიან მშპ-ში სულ 2 პროცენტს შეადგენს. ანუ საფრანგეთში სოფლად მცხოვრები 700 ათასი ადამიანი ქმნის იმაზე ბევრად მეტ სოფლის მეურნეობის პროდუქტს, ვიდრე საქართველოში სოფლად მცხოვრები 2 მილიონამდე ადამიანი.

განვითარებული ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომელთაც მთავარ აქცენტად სოფლის მეურნეობის განვითარება აქვთ დასახული ისე, რომ რეგიონალურ ურბანიზაციას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, განვითარებული ქვეყნების რიგში იმკვიდრებენ ადგილს. ამიტომ საქართველოშიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კრახის წინაპირობა სულაც არ არის, თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესი მწყობრი და გააზრებული რეგიონალური ურბანიზაციის პოლიტიკის ფარგლებში წარიმართება.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან ინსტრუმენტალური საამქროს უფროსის, კვალიფიციური სპეციალისტისა და უპატიოსნესი პიროვნების

ოტია ორაგველიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ჩალაუბანი-სიღნაღი-ანაგის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია წელს დასრულდება

საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, რომ პროექტი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს, რომლის ღირებულება 3 222 900 ლარს შეადგენს. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და სარეაბილიტაციო სამუშაოებს „კავკასავტომაგისტრალი“ ასრულებს.

ჩალაუბანი-სიღნაღის გზის სავალ ნაწილზე ხელოვნური ნაგებობები და შემასწორებელი ფენა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით უკვე მოეწყო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის მოფრეზვა და შემდეგი გამოყენებისათვის მოგროვება, არსებულ საფუძველზე შემასწორებელი, სტაბილიზირებული ფენების და ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ბეტონის ჭის და ბორდიურების მოწყობის სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში ეზოში შესასვლელებისა და ტროტუარების მოწყობის სამუშაოები განხორციელდება, შეკეთდება არსებული და მოეწყობა ახალი წყალგამტარი მილები, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები და გზის სავალი ნაწილი მოინიშნება. ასევე, მოეწყობა რკინაბეტონის საყრდენი კედლები და მიერთებები.

ჩალაუბანი-სიღნაღის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 2013 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება.

◎ ინფორმაცია

რესტორან „აფხაზეთში“ 7 ადამიანი მოიწამლა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს , სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რესტორან „აფხაზეთში“ დარღვევები გამოავლინეს. მათ რესტორან „აფხაზეთიდან“ დაუბეჭდავი ხორცი ამოიღეს.

სააგენტოს ინფორმაციით, რესტორანში არადამაკმაყოფილებელია ზოგადი სანიტარიული მდგომარეობა, სამზარეულოს ფანჯრებს არა აქვს დამცავი ბადეები; გარდა ამისა, მაცივარში ინახებოდა დაუბეჭდავი ხბოს ხორცი და, შესაბამისად, ვერ წარმოადგინეს ფორმა №2, რის გამოც, სურსათის, საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 ლარით. ხორცი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

— რაც შეეხება რამდენიმე დღის წინ რესტორან „აფხაზეთში“ 7 ადამიანის მოწამვლის ფაქტს, რის შესახებაც სურსათის ეროვნულ სააგენტოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, რესტორნის პერსონალი ინტოქსიკაციას შემოტანილ ტორტებს და ნამცხვრებს უკავშირებს, — აღნიშნულია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ნატურიდან

ხადურის მენიუ

კაცო, ხედავთ, ამ ხადურის მენიუს ქვეყანაში რა აუიოტაჟი მოვვა? თავის დროზე ასეთი ინტერესი სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევისას რომ გამოგვეჩინა, დარწმუნებული ვარ, იმ წარღნას შეიძლება გადავრჩენილიყავით კიდეც. ახლა ამ საქმეს რაღა ეშველება, მაგრამ, ვიფიქრე, ამ რაღაც ხადურის მენიუს გამო, ახალ ხათაბალას არ გადავეყაროთ-მეთქი და სმა-ჭამის დარგში კომპეტენტური აზრის გამოსათქმელად, ამ სფეროში ყველაზე უფრო რეიტინგულ პიროვნებას — ბენიტოს — ადრიანად სამსახურში მივაკითხე.

შენობაში, სადაც ამ სამსახურის ოფისია განთავსებული, ჯერ არავინ ჩანდა, ბენიტო, როგორც სჩვევია ხოლმე, მარტოდმარტო მიმჯდარიყო დიდ ოვალურ მაგიდასთან, ლიტრანახევრიანი პლასტმასის ბოთლით შემოედგა გულყვითელა კახური და ხმელაპურთან ერთად გუნებიერად შეექცეოდა.

— ვა, ჯიგარ, მოხვედი? — გაებადრა სახე ჩემ დანახვაზე, — დაჯე, თითო ჭიქა დავურტყათ!

— ამ დილაადრიან, კაცო? — შევიცხადე, — დაიცა, პატარა მოდღევდეს მაინც.

— მოდღევდეს კი არა და, — აზიდა წარბები ბენიტომ, — ეგღა მაკლია სადილობას დაველოდო, — გამოსცრა კბილებიდან, — თან წაუმღერა... „ქეიფს ვიწყებ დილიდან“... კაი ბიჭი ხარ და მთელ დუნიაზე ქართველის გარდა აბა თუ იპოვი მეორეს, ვინც ამას იმღერებდა?

— გაჩუმდი, ბენიტო, — ვაფრთხილებ, — ემანდ ხადურმა არ გაიგოს, თორემ მენიუში ქართულ სიმღერებსაც შეიტანს და დავიღუპებით.

— რა დაგვღუპავს, ტო, სიმღერა? — გაკვირვებულია.

— სიმღერა კი არა, რესტორნიდან წამოღებული გაბერილი ანგარიში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გადაიხადოს.

— გაგიჟდი, სიმონ! — ხითხითებს ბენიტო, — სიმღერა მწვადი ხომ არ არი, მენიუში შეიტანონ?

— არც მენიუ არი, ჩემო ბენიტო, საჯაროდ გამოსაჭენებელი, მაგრამ აგე ხადურმა პრესაში გამოაქვეყნა!

— ეგ რომელ ხადურზე ლაპარაკობ, ტო, ლოყებტომარაზე? — დაინტერესდა თანამოსაუბრე.

— ჰო, მაგაზე — ქვეყნის პირველ ფინანსისტზე.

— მერე, ფინანსისტი თუა, თანაც პირველი, მაგდენი აღარ იცის, რომ მენიუს ხალხის განსასჯელად და საჭორაოდ გამოტანა არ შეიძლება?

ჰოდა, შენთან სწორედ მაგიტომ მოვედი, ქართული სუფრის ფალავანი ხარ და ვიცი სმა-ჭამისა არაფერი შეგეშლება.

— მე არა, მაგრამ პირველ ფინანსისტს ნამდვილად ეშლება, ეტყობა, მასხარად გვიგდებს ეგ შობელგაჭიფხული!

— რატომ გგონია?

— აბა წინასწარ მენიუს გამოქვეყნება სად გაგონილა? მთელ მსოფლიოში მოგვჭრა თავი ქართველებს, მაგ ყურუმსაღმა.

— მაგანაც რა ქნას, ჩემო ძმაო, — ვცადე პირველი ფინანსისტის გამართლება, — რამდენჯერაც უცხოელ სტუმრებთან რესტორანში საქეიფოდ დაჯდა, იმდენჯერ ცხვირში ძმრად ამოადინეს, სულ კაპიკ-კაპიკ დაუთვალეს, რომელი სუფრა რა დაჯდა!

— ეტყობა „ოცნებას“ შიგნითვე ჰყავს მტრები, თორემ გარედან მაყურებელს როგორ უნდა გაეგო, ვინ რა კერძი მოითხოვა ან რამდენისა შეჭამა?

— მეც მაგ აზრისა ვარ, ჩემო ბენიტო, დათვლას თავი დავანებოთ, თანაც რო ურჩევენ, ძვირიანი კი არა, იაფფასიანი კერძები უნდა აგეღოთ, ბიუჯეტი ნაკლებად დაზარალდებოდა, მაგრამ არა და არ გაძღა შენი უსაწყაო მუცელი, ნოდარიო!..

— ეგენი ფიქრობენ, რომ ხადურს ნატოელი სტუმრებისთვის ჩაქაფულის მაგივრად ეკალა რომ შეეთავაზებინა, ბიუჯეტი უფრო იაფად გამოვიდოდა?

— ჰო მაგრამ, ევროპელებს რას მოატყუებ, როცა ჩაქაფულთან ეკალას უპირატესობაში დღეს კახელებსაც ველარ დაარწმუნებ?!

— ეგეც არის, მაგრამ ამ ყველაფრის მიზეზად მე უფრო მეოცნებეთა უნიათობა მეჩვენება, — დასძინა ღრმად დარწმუნებული კაცის იერით ბენიტომ.

— რას გულისხმობ?

— აი იმას, რასაც ოცნებელები საერთოდ ქვეყნის მართვაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ქართული სუფრის გაძღოლაში იჩენენ.

— ამ მხრივ ვითომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უკეთესობა იყო?

— იყო, აბა არ იყო? ყველას გვახსოვს, სააკაშვილი და ძმანი მისნი ამათზე ათჯერ მეტსა ჭამდნენ და თქვლეფდნენ, მაგრამ მენიუ არასდოს გამოუქვეყნებიათ.

— ახლა სხვა დროა, ჩემო კარგო, — ვცადე ბენიტოს დამშვიდება, — გამჭვირვალე საქმიანობასთან ერთად მთავრობამ თუ გამჭვირვალედაც არ ჭამა, ევროპისკენ მიმავალ გზას მაშინვე გადაგვიკეტავენ.

— კარგი ერთი, — გული მოუვიდა ბენიტოს, — ჭამაში გამჭვირვალობა სად გაგონილა? თუ მასეა, მაშინ ხადურმა და მისმა ძმაკაცებმა თავიანთი მსუქანი ხელფასებისა და პრემიების მენიუც გამოაქვეყნონ და ნაქეიფარის ხარჯი იქიდან აინაზღაურონ.

— შენ სხვებზე რო ლაპარაკობ, ჩემო ძმაო, ამდენი ქეიფის შემდეგ, სახლში და სამსახურში მენიუს შედგენა-გამოქვეყნებას არა გთხოვენ?

— მომთხოვენ და კაი კურდღელსაც დაიჭერენ, აქ სამსახურის უფროსი, რომელიც უხელფასოდ მამუშავებს და შინ კიდევ ცოლი, შვილიშვილების გამყოლ-გამომყოლად ბაგაბაღებში რომ დამარბენინებს.

აღარაფერი მიკითხავს. მივხვდი, ხადურისგან განსხვავებით, ბენიტო ისევ სააკაშვილის განრიგით ქეიფობს!..

ოტია ჩართოლანი

◎ კრიმინალი

დააკავეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის

სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული გიორგი ღ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა გიორგი ღ-ს პირადი ჩხრეკისას „ტე-ტეს“ სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

ბათუმის სასტუმროებში ბორდელები აღმოაჩინეს

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით დაკავებულები არიან 1985 წელს დაბადებული შოთა ფ, 1979 წელს დაბადებული რომან ფ, 1979 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე მუმინ ი, 1990 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე ილმაზ ტ. და 1981 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე თერდი დ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ბათუმში არსებულ სხვადასხვა სასტუმროების ნომრებს ქალებს პროსტიტუციისთვის უთმობდნენ.

სამართალდამცველებმა ქალები და სასტუმროებში მომუშავე პირები მოწმის სახით დაკითხეს.

◎ ეს საგულისყურო!..

ბებიის და პაპის სახლი შვილიშვილებს ახსენდებათ ღვეზელის, ხენდროს მურაბის სურნელით... მაგრამ დრო მიდის, შვილიშვილები იზრდებიან, პაპა და ბებია კი ბერდებიან. და ახლა მათ სახლში სრულიად სხვა სუნი დგას, უსიამოვნო...

ჩვენი ექსპერტია მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის, გერიატრიისა და აპითერაპიის ფაკულტეტის კათედრის პროფესორი იური კონევი.

სიამტკბილობა

მათ, ვინც სამოც წელს გადაცილდა, მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ჰიგიენის საკითხებს. სამწუხაროდ, ბევრ მოხუცს აღარ უყვარს ბანაობა. და ამას აქვს თავისი ახსნა. წლებთან ერთად კანის საფარი თხელდება, ცხიმოვანი საპოხის გამოყოფა მცირდება. ამის გამო კანი მშრალი და ძალიან მგრძნობიარე ხდება და ხშირად ბანაობასაც უსიამოვნო შეგრძნება მოაქვს. თანაც საპნიანი წყალი აცილებს კანს დამცველ ლიპიდურ ფირს, ამიტომ აბაზანის შემდეგ იგი ხდება დაჭიმული და მტკივნეული. უფროსი ასაკის ბევრ ადამიანს (განსაკუთრებით ხშირად მამაკაცებს) უვითარდება იქტიოზი — კანის გაზრდილი აქერცვლა, აგრეთვე სიბერის ქავილი, განსაკუთრებით გენიტალიისა და ანუსის მიდამოებში.

და მაინც ჰიგიენის დავიწყება არ ღირს. უბრალოდ წყლის პროცედურები უნდა ჩავიტაროთ სხვაგვარად, ვიდრე ამას ახალგაზრდობაში ვაკეთებდით:

● აბაზანაზე უმჯობესია უარი ვთქვათ, შევცვალოთ იგი შხაპით. შხაპის მიღება საკმარისია დღეგამოშვებით, წლების შემდეგ საოფლე ჯირკვლები უკვე ისე აქტიურად აღარ მუშაობენ. დაბანვისთვის უნდა გამოვიყენოთ არა საპონი, არამედ გელ-კრემები ნეიტრალური პე-ჰაშით — ისინი გვინარჩუნებენ ლიპიდურ ფენას. თანაც ამ საშუალებებით საკმარისია დავიბანოთ ხელებისა და ფეხების მოსახრელი ადგილები, კანის ნაკეცები და სასქესო ორგანოები. სხეულის დანარჩენი ნაწილები უბრალოდ წყლით უნდა ჩამოვირეცხოთ.

● წყლის პროცედურების შემდეგ აუცილებელია კარგად გავიმშრალოთ კანი, განსაკუთრებით ხელებისა და ფეხების მოსახრელ ადგილებში. თუ კანი ძალიან მშრალია, მასზე უნდა წავისვათ დამატენიანებელი კრემი ან სხეულის ლოსიონი (კარგია ნებისმიერი კოსმეტიკა მშრალი მგრძნობიარე კანისთვის).

● აბაზანები ხანდაზმული ადამიანებისთვის აღჭურვილი უნდა იყოს სახელურებით, იატაკზე — რეზინის საფენი, რომელიც ფეხის აცურებისგან დაგვიცავს. კომპრომისული ვარიანტია — საჯდომი აბაზანა ან საშხაპე კაბინა.

● წყალი არ უნდა იყოს არც ცხელი, არც ძალიან ცივი, რომ ტრავმა არ მივაყენოთ ხანდაზმული ადამიანის კანის საფარს.

მოხუცებულობის სურნელი

ასაკთან ერთად უნდა იცვლებოდეს პირადი ჰიგიენის წესებიც

● თბილი წყლის გადავლება ყოველდღეა საჭირო, აგრეთვე კუჭის მოქმედების შემდეგ. სასქესო ორგანოების ქავილის თავიდან ასაცილებლად უნდა ვატაროთ მხოლოდ ბამბის ან სელის თეთრეული და ვიცვალოთ იგი ყოველდღე, ძილის დროს ვერიდოთ სხეულის გადახურებას, საკვებიდან ამოვიღოთ ცხარე,შებოლილი კერძები.

● თუ ძნელია შხაპის მიღება, სხეული შეიძლება გავიწმინდოთ ჰიგიენური ხელსახოცით, რომელიც გაჟღენთილია ნატურალური შემარბილებელი და ანთების საწინააღმდეგო ექსტრაქტებით (გამოდგება ახალშობილთა ხელსახოცი). ასევე ურიგო არ იქნება გამოვიყენოთ ინტიმური ჰიგიენის საშუალებები (დეზოდორანტები, ტუალეტის წყალი), მაგრამ ისინი უნდა წავისვათ სუფთა და გამშრალ კანზე.

● კანის გაზრდილი სიმშრალის პრობლემა რომ თავიდან აიცილონ, ხანდაზმულმა ადამიანებმა არა მხოლოდ კარგად უნდა მოუარონ მას, არამედ მიიღონ B ჯგუფის ვიტამინები (რაც ხორცსა და ბურღულეულებშია) და ცხიმგამხსნელი ვიტამინები A, D, E. თუმცა, მათი დოზის შერჩევისთვის უნდა მივმართოთ ექიმს, ვინაიდან უფროსი ასაკის ადამიანების ორგანიზმისთვის სახიფათოა ამ ნივთიერებათა არა მხოლოდ უკმარისობა, არამედ ზედმეტი ნორმაც.

ზრუნვა საკუთარი ფეხებისთვის

ცუდი სუნი ფეხებიდან უფრო ხშირად ახალგაზრდებს უჩნდებათ, მაგრამ თუ ხანდაზმული ადამიანი არად აგდებს ჰიგიენას, მაშინ მის წინდებასაც, ბუნებრივია, **ვარდის სუნი არ ექნება.** ასაკოვანებისთვის სხეულის ამ ნაწილის სწორ მოვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ტერფების ჰიგიენის უგულებელყოფამ შეიძლება უსიამოვნო შეგრძნებებთან და ტკივილებთან მიგვიყვანოს, უფრო სერიოზულ შემთხვევებში კი — სხვების დაუხმარებლად გადაადგილების უუნარობასთან.

მთავარი რისკი სოკოვანი ინფექციებია. ისინი რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ყოველდღიურად კარგად დავიბანოთ და გავიმშრალოთ ფეხები. რეკომენდებულია გამოვიყენოთ ტალკი ან პუდრი თითებშუა ადგილების დასამუშავებლად, აგრეთვე კრემი ფეხებისთვის, რათა არ დავუშვათ კანის გამოშრობა და ძნელად შესახორცებელი ნაპრალების გამოვლენა.

გაზრდილი ოფლიანობის ადამიანებმა უარი უნდა თქვან სინთეტიკაზე და ატარონ ნატურალური მასალების ფეხსაცმელი, წინდები, კოლგოტი. ოფლიანობის შემცირებისთვის დღეში ორჯერ15-15 წუთით უნდა ჩავაწყოთ ფეხები კარგად დაყენებული ჩაის ან მუხის ქერქის ნახარშის თბილ წყალში. უსიამოვნო სუნის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება კვირაში 3-4-ჯერ დავიბანოთ ფეხები თბილ წყალში ძმრის სუსტი ხსნარით (3-პროცენტიანი ძმრის 1ჩაის კოვში 2 ლიტრ წყალში).

ხანდაზმული ადამიანებისთვის ფეხის ფრჩხილების დამოუკიდებლად დაჭრა ძნელია, ამაში ოჯახის წევრები უნდა დაგვეხმარონ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, იმიტომ, რომ არასწორად დაჭრილმა ფრჩხილებმა შეიძლება კანში მათი ჩაზრდა გამოიწვიოს.

სახლი, საყვარელი სახლი

არასასიამოვნო სუნი შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ სხეულს, არამედ ყველაფერს, რაც ხანდაზმულ ადამიანს გარს აკრავს: ძველ ხარახურას, დიდი ხნით გაუნიავებელ ნივთებს, საოჯახო მტვერს, რაც, სხვათა შორის, უმთავრესად ყალიბდება კანის დაღუპული ნაწილაკებისგან. გამხმარი ქერცლი ცვივა და ხანდაზმული ადამიანების ტანსაცმლის ნაკეცებში გროვდება, ეცემა გადასაფარებლებზე და ავეჯზე, ხალიჩებზე. ვინაიდან მოხუცებისთვის ძნელია მათი დასუფთავება, აგრეთვე ხშირად ცვალონ, რეცხონ და აუთოონ თავიანთი ტანსაცმელი და ლოგინის თეთრეული, სახლში გროვდება უსიამოვნო სუნი. ვალდებულება გასუფთავებაზე უფრო ახალგაზრდა ნათესავებმა უნდა იკისრონ.

სათავსის არომატიზაციისთვის უმჯობესია, გამოვიყენოთ არა ჰაერის განიავება, არამედ ეთერზეთების არომატული ესენციები, აღმოსავლური სურნელები. კარადებში შეიძლება მოვათავსოთ ტომსიკა ბალახებით, არომატული საპნის ნაჭრები, ციტრუსების კანი.

უროლოგიური „გამწვავება“: ვინ არის რისკის ჯგუფში?

თუ ვინმესთვის გაზაფხულის დადგომა დაკავშირებულია რომანტიკასთან და სენტიმენტალურ გრძნობებთან, ექიმი უროლოგებისთვის იგი პაციენტების სეზონურ შემოტევას ნიშნავს. ექიმების კაბინეტებში მიდიან ავადმყოფები ცისტიტების, შარდკენჭოვანი დაავადების გამწვავებით, თანაც მათი უმრავლესობა — ეს უფროსი თაობის ადამიანები არიან. მაინც რასთან არის დაკავშირებული თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებათა საგაზაფხულო „აფეთქება“ და, რაც მთავარია — ვინ არის რისკის ჯგუფში?



უწინარეს ყოვლისა, თავს გვახსენებენ ფაქტორები, რომლებიც გროვდება ზამთრის პერიოდში: ხშირი გაცივება, ალკოჰოლისა და ცხარე საკვების გაზრდილი მიღება სადღესასწაულო სუფრებზე, სქელი და თბილი ტანსაცმლის ტარება, ვიტამინების უკმარისობა — ყველაფერი ის, რაც ადგილობრივი იმუნიტეტის დაქვეითებას უწყობს ხელს და აიოლებს ინფექციების მოხვედრას შარდის სისტემის ორგანოებში. ამას გარდა, 50 წლის შემდეგ, ზოგჯერ კი უფრო ადრეც, ორგანიზმში იწყება ის პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ ინფექციურ დაავადებათა პროცესებს. ისინი დაკავშირებული არიან ნერწყვოვანი გარსების რეგრესთან, თხელდება ეპითელიუმი, უარესდება სისხლის მომარაგება, ქვეითდება ანტისხეულებისა და ბაქტერიციდული კომპონენტების გამომუშავება. ეს ყოველივე ორგანიზმის ჰორმონალური გარდაქმნის ზემოქმედებითი ხდება. შედეგად ის მიკრობები, რომლებიც ადრე ადვილად ყოვნდებოდნენ „შესასვლელში“, ახლა ადვილად აღწევენ შიგნით. ამას გარდა, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებათა განვითარებას ხელს უწყობს ხანდაზმულ ასაკში გავრცელებული ისეთი დაავადებანი, როგორებიცაა გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონია, შაქრის დიაბეტი, გინეკოლოგიური დაავადებანი ქალებში, პროსტატიტი და ადენომა — მამაკაცებში.

რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? უწინარეს ყოვლისა, არ შემოვიფარგლოთ ანტიბიოტიკების მოკლე კურსით. რთულ სიტუაციებში, როგორიცაა ხანდაზმული ასაკი, თანმდევი დაავადებანი, დაავადების ქრონიკული მიმდინარეობა — აუცილებელია მხარდამჭერი თერაპია. ჩვეულებრივად ამისთვის უნიშნავენ დამნდობ მოქმედებებს, ისეთებს, როგორიცაა კანეფრონ H — მცენარეული სამკურნალო საშუალება, რომელმაც საკუთარ თავს შესანიშნავი რეკომენდაცია გაუკეთა უროლოგიაში. კომპლექსური მოქმედების ამ პრეპარატს იყენებენ ცისტიტების, ნეფრიტებისა და პიელონეფრიტების, აგრეთვე შარდკენჭოვანი დაავადებების დროს სულ ცოტა 2-4 კვირის განმავლობაში, რაც საშუალებას გვაძლევს, თავი დავიცვათ ინფექციისგან, აგრეთვე მოვიხსნათ ანთება, სპაზმები და თავიდან ავიცილოთ რეციდივი. კანეფრონ H — ესაა კარგად შესწავლილი პრეპარატი — ბევრ ქვეყანაში დაგროვილია მისი წარმატებული გამოყენების დიდი გამოცდილება.

თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებათა მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ დაცვა ყოველთვის ერთია — ისეთი საშუალების ხანგრძლივი და გულდასმით შემოწმებული თერაპია, როგორიცაა კანეფრონ H. განსაკუთრებით, თუ რისკის ჯგუფში იმყოფებით.

◎ ანეკდოტები

— რა არის თქვენი ბოლო სურვილი? — ეკითხება ციხის უფროსი ელექტროსკამზე მჯდომ სიკვდილმისჯილს.

— თუ შეიძლება, მკლავზე მომკიდეთ ხელი. ასე უფრო მშვიდად ვიქნები.

* * *

— მამი, არ გავთხოვდები, თქვენთან ვიცხოვრებ!

— ნუ ემუქრები მამას!

* * *

როდესაც პარფიუმერიის მაღაზიაში გამყიდველ-კონსულტანტი მომიახლოვდება და მკითხავს — „ხომ არ შემიძლია რაიმეთი დაგეხმაროთო“, გულწრფელად ვუპასუხებ ხოლმე: „შეგიძლიათ! გამაგდეთ აქედან, თუ შეიძლება!“

* * *

— მამი, დღეს მასწავლებელმა კითხვა დასვა და მე პირველმა ავწიე ხელი! — ამბობს მიხო.

— მართლა? და რა იკითხა მასწავლებელმა?

— ვინ ვერ ამოხსნა ამოცანაო.

* * *

— იცი, იმდენი ცუდი რამ წავიკითხე ადამიანის ორგანიზმზე ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებაზე, რომ ამას თავი უნდა დავანებო.

— დალევას არა?

— არა, კითხვას!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24